



მხედლ თუმანიშვილის სახელობის
თეატრალური სკოლების ტანვითარების
ფონდი

Tumanishvili Theatre Foundation

ქართული პიესა 2013



გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2014

დედაობი WARMOTHER

მოქმედი პირნი:

ზინა

თინა

კურიერი

მანანა

(მესამე ვერსია)

1.

*რივში ძირითადად მოხუცები დგანან.
ზინა და მანანა თავის რივს ელოდებიან.
რივს არც თავი უჩანს, არც ბოლო.
ისეთი შეგრძნებაა, თითქოს სულ ასე იდგებიან...
თხლად აცვიათ და აშეარად ძალიან ცხელათ.
რაც ხელში უჭირავთ, ყველაფერს ინიავენ...
უძრავად დგანან. იშვიათად ლაპარაკობენ.
არაფერი ხდება, ვიდრე ზინას გული არ მისდის.*

მანანა: დაეცა.

არავინ მოძრაობს.

სიბნელე.

რივი.

ზინა რივში დგას.

ზინა: ჭიშკარი რატომ დაკეტეს?

მანანა: ქვედა სოფლიდან ყველა აქეთ დაიძრა.

ზინა: ეგ ვიცი. ვითომ აქ უფრო უსაფრთხოდ იქნებოდნენ?

მანანა: ჩვენ ბევრად უსაფრთხოდ ვართ.

ზინა: რატომ გადაწყვიტე?

მანანა: გადაწყვეს გუშინ ნახევარი სოფელი, აქ კიდევ ერთი გასროლაც არ გაგვიგია... უსაფრთხოდ ვართ ბევრად.

ზინა: აფეთქება ხომ გავიგეთ. და მერე, მთელი სოფელი აქეთ თუ დაიძრა...

მანანა: ამიტომაც, არ შემოვუშვით. ჭიშკარი ჩაკეციდა. უსაფრთხოდ ვართ ბევრად.

ზინა: მე დავინახე უცხო ხალხი. ზოგი მაინც გადმოძვრა. ჩემს კარზეც დააბრაახუნეს ერთი ორჯერ, შემოშვებას მთხოვდნენ.

მანანა: ყველასთან ვერე დაძრწოდნენ. ყველა კარზე აბრაახუნეს.

ზინა: ვიღაცეებმა მაინც გაუღეს თურმე კარი.

მანანა: ხო?

ზინა: შეუშვეს თავისთან. ახალგაზრდები არიანო.

მანანა: ხო, ახალგაზრდები არიან...

ზინა: ვინც ღობეზე გადმოძვრებოდა... აბა, ისე როგორ...

ის მაინც გვითხრან, ვინ დაგვბომბა... მეშინია ძალიან.

არ უნდა შემოგვეშვა არც ერთი. რა ჩვენი საქმეა ეს

ყველაფერი... რასაც გვეუბნებიან, ის უნდა გავაკეთოთ.

საქმეზე ვართ აქ და ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ...

მანანა: ჰო, რა თქმა უნდა... აფეთქების ხმა გავიგონე

თუ არა, მაშინვე მიკროსკოპს მივუჯექი... ჩემ თავს

ვეუბნებოდი: საქმეზე ვარ აქ და ჩემი საქმე უნდა

ვაკეთო-მეთქი. მეცინება შენზე.

ზინა: მთელი ღამე იმათი ყვირილი მესმოდა... ღობის

იქით ვინც დარჩა. ჭიშკრის გახსნას ითხოვდნენ.

თავი ბიბლიაში მეგონა... სტუდენტები გაქცეულან

დასახმარებლად.

მანანა: ვიცი, ვიცი, ზოგი სოფელში ჩავიდა, ჯერ არ

დაბრუნებულანო. გამოშტერებულები, პირველ რიგში

ეგენი უნდა დაიმაღონ სახლში – მოკიდებენ ხელს

და ფრონტის პირველ ხაზზე გააქანებენ, ხო ვიცი...

ზინა: რამდენიმე დაბრუნდა. დანარჩენები იქ დარჩენილან.

რას გავდნენ, რომ გენახა... ბოლისგან თვალები

ამომწვარი ჰქონდა ყველას...

მანანა: რაო, რას ყვებიან?

ზინა: რას გაუგებ... როგორც იქნა, საქმე მიეცათ, რაღაც

მნიშვნელობა შეიძინეს...

მანანა: შენ რა, გარეთ იყავი?

ზინა: ბოლოს ვვლარ მოვითმინე და გავედი. ის,

ღვენილები... წყალს ითხოვდნენ და რაც მქონდა,

მთლიანად გავეუტანე.

მანანა: გაგიჟდი?

ზინა: ჰო, ვიცი, სისულელე ვქენი, ორ კაცსაც არ ეყო...

უარესად გავალიზიანე... მერე შემეშინდა და სახლში

წამოვედი.

მანანა: რა ეშველება ამ ხალხს?

ზინა: მთელი ღამე ჯგუფებად გადაჰყავდათ... რომელიღაც სოფლის სკოლაში დაასახლებენ დროებით...

მანანა: მაგას სიკვდილი ერჩივნოთ.

ზინა: ...ვიღაც კაცი მომადგა გუშინ, იმან მითხრა.

მანანა: ხო, ეგ ჩემთანაც იყო. შემოპარულ დევნილებს ეძებდა. ვინმე ხომ არ შეიფარეო. ისე მკითხა, გეგონება რეციდივისტს ვმალავდი.

ზინა: ვინმეს მალავდი?

მანანა: არა...

პაუზა

მანანა: შენი შეილი რას ამბობს, თუ არ გამოჩენილა?

ზინა: არ მილაპარაკია... ან როგორ უნდა დამერეკა.

მანანა: თავი როგორ გაქვს?

ზინა: არამიშავს.

მანანა: ტკივილები...

ზინა: რამდენიმე დღეა ნაკლებად. კარგად ვარ.

მანანა: რაღაც მინდა გითხრა...

ზინა: ნეტა თბილისში რა ხდება, ეგ მაინც გვითხრან... შეიძლება იქ არც იცოდნენ, რა მოხდა... და რა მოხდა საერთოდ?

მანანა: კარგი, მერე იყოს...

ზინა: თუ დიდხანს გაგრძელდა ეს ყველაფერი, მაშინ ალბათ კვლევასაც შეწყვეტენ და ჩავლპებით აქ უსაქმოდ. ყველაფერს წყალში გადაგვიყრიან...

მანანა: (*წინ გასძახებს*) რატომ ვდგავართ ამდენი ხანი, არ იცით? ვერაფერს ვერ ვხედავ...

ზინა: რაღაცას მეუბნებოდი?

მანანა: (*წინ გასძახებს*) ვინმე წავიდეს იქნებ და გაარკვიოს, რა ხდება...

ზინა: რაღაცის თქმა გინდოდა.

მანანა: (*ისევ წინ*) რატომ მოგვიყვანეს, თუ არაფერს არ გვეუბნებიან?

ზინა: რაღაცას ამბობდი...

მანანა: ვინმე შევიდა უკვე?

ზინა: თავი ამეხადა, ვერ ხედავ, არაფერი არ იციან.

მანანა: ხო, მაგრამ... *(გახდახეზს)* უკაცრავად, გამოვიდა ვინმე იქიდან?

ზინა: რა გაყვირებს.

მანანა: იქნებ აგვისხსნან... ისე ვლელავ, ვიყინები ამ სიცხეში...

ზინა: გეხვეწები...

რივის მიმართულებით კურიერი გაივლის.

მანანა: ამას შეხედე! ეს არ იყო გუშინ? *(გახდახეზს)* უკაცრავად, მეგობარო... უკაცრავად!

ყურადღებას არ აქცევს. გადის.

მანანა: ძალიან გთხოვ, წამომყევი. უნდა ვკითხო...

ზინა: აქედან თუ გავალთ, ადგილს წაგვართმევენ.

მანანა: მაშინ, შენ აქ დარჩი...

ზინა: მოიცადე...

მანანა: ნუ გეშინია, არ დავიკარგები.

ზინა: ასე ადვილად რომ შეიძლებოდეს გაგება, უკვე გვეცოდინებოდა ყველაფერი.

მანანა: რა უნდა მოხდეს? რისი გეშინია?

რივი ერთი ნაბიჯით წინ მიიწევს.

ხალხი ახმაურდება.

ერთმანეთს აწევიან.

ზინა: გეხვეწები, არ დამტოვო აქ. ხომ იცი, დიდხანს დგომა არ შემიძლია! მარტო ვერ ვიდგები! მოგკვდები!

მანანა: ხომ არ გაგიჟდი, ორი წუთით გავალ... არაფერი არ მოგივა.

რივი ერთი ნაბიჯით წინ მიიწევს.

ხმაური იმატებს.

ზინა: რა თქვი?

*რივის მიმართულების საწინააღმდეგოდ
მოხუცი ქალი შემოდის.*

**ხელში ყუთი და კონვერტი უჭირავს.
ყველა მას უყურებს.
კითხვებს აყრიან, უყვირიან.**

ქალი სწრაფი ნაბიჯით გადის.

*რივის მიმართულების საწინააღმდეგოდ მოხუცი ქალი
შემოდის.*

**ხელში ყუთი და კონვერტი უჭირავს.
ყველა მას უყურებს.
კითხვებს აყრიან, უყვირიან.
ქალი სწრაფი ნაბიჯით გადის.
და ასე გაუთავებლად...**

სიბნელე.

2.

**ზინას სახლი – ერთი დიდი ოთახი პატარა ფანჯრებითა
და სუსტი განათებით.**

სიღრმეში ზინა და მანანა დგანან.

**თინა მაგიდასთან ზის, მის წინ მოხუფულ ქილებში
კალიები დახტიან... მაგიდის თავზე სპეციალური
გამათბობელია დამაგრებული...**

**თინას მხარზე დიდი ჩანთა აქვს გადაკიდებული, კალიებს
მიაშტერდა...**

**ზინა: და რა ვუყო ამას, ლოგინში ხომ არ ჩავიწვენი? რა
გინდა ჩემგან?**

ვინ ხარ?

როგორ მომაგენი?

საიდან იცი ჩემი სახელი?

თინა დუმს.

მანანა: აზრი არა აქვს, მე მგონი ჯობია წავიდე... მარტო
დაგტოვებთ, იქნებ მაშინ მაინც ალაპარაკდეს.

ზინა: ამასთან მარტო არ დავრჩები...

მანანა: თბილისიდანაა...

ზინა: ხო, ოღონდ რატომღაც გუშინდელ დევნილებს
გადმოჰყვა სოფლიდან...

მანანა: სოფლებს არ გადმოჰყოლია.

ზინა: შენ არ ამბობდი...

მანანა: დღეს ღამე მომადგა.

ზინა: რა?! რატომ არ მითხარი...

მანანა: არ ვიცოდი, რა მეთქვა. ღამე მომადგა... შენი
სახლი ეგონა.

რალაცის თქმა უნდა.

ზინა: მთელი ღამე რას ელოდებოდი?

მანანა: ფანჯარაში შემოვიხედე და გეძინა... არ მინდოდა
შენი გაღვიძება!

ზინა: რა უნდა, ვუსმენ!

ხანგრძლივი პაუზა.

ქალები თინას უყურებენ, თინა – კალიას.

ზინა: (უეცრად წამოიყვირებს) რა გქვია?!

თინა: (ფეხზე დგება, მანანას) მარტო დაგტოვე და
ყველაფერს მოგუყვები.

მანანა: ხმა ამოიღო!

ზინა: არა ვარ კარგად...

მანანა: მე წავალ. ძალიან გთხოვ მოუსმინე, ყველაფერს
ავისხნის...

ზინა: აქ დაჯდები და ერთად მოგუსმენთ. ათ წუთში
მოყვება ყველაფერს და წავა აქედან.

თინა: (თვალს ვერ უსწორებს) მაპატიეთ. არ მინდოდა
თქვენი შეშინება.

ზინა: ვერ გაიგეთ? ათი წუთი!

თინა: (ძალიან დაძაბულია) ბოდიშს ვიხდი, რომ...
საერთოდ არ ვარ მიჩვეული ასეთ რალაცეებს...

ზინა: არ მინდა ამის მოსმენა.

თინა: მაპატიეთ, პირდაპირ თქვენთან მინდოდა მოსვლა...

ზინა: ეს გავიგე უკვე.

თინა: სახლი შემეშალა და ამასთან აღმოჩნდი... ბოლო მატარებლით წამოვედი თბილისიდან...

ზინა: არ მაინტერესებს, როგორ მოაღწიეთ აქამდე. ილაპარაკე!

თინა: ბოლო მატარებელი იყო... ძლივს მივუსწარი...

ზინა: ნამდვილად გაგიმართლათ.

თინა: რატომ მელაპარაკებით ასე...

ზინა: რვა წუთი. მაპატიეთ.

თინა: მაპატიეთ...

ზინა: უკვე მომბეზრდა.

თინა: მომიხმინეთ, იმიტომ რომ ისეთ რაღაცას გეტყვით, რაც ორივესთვის ძალიან მნიშვნელოვანია...

ზინა: ნუთუ ვეღირსები?

თინა: ოღონდ ერთ რამეს უნდა შემპირდეთ...

ზინა: ალბათ, რაღაც აძლევს ამხელა თავხედობის უფლებას...

თინა: დიახ... თქვენი შვილის გამო...

ზინა: რა?

თინა: დიახ, მე... მე და თქვენი...

მანანა: ერთმანეთს იცნობენ.

თინა: მე... დიახ, ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ...

ზინა: საიდან?

თინა არ პასუხობს.

ზინა: სახელი გითხრათ?

თინა: ვინ?

ზინა: ჩემმა შვილმა სახელი...

თინა: კი, მითხრა...

მანანა: უთხარი.

თინა: ირაკლი ჰქვია.

ზინა: (*მანანას*) რა ჭირს ჩემს შვილს?

თინა: არაფერი. უფრო სწორად... ძალიან გთხოვთ,
 დაბრძანდით... ყველაფერს აგისხნით!
ზინა: შენ ეს ყველაფერი იცოდი?
თინა: ნუ გეშინიათ...
ზინა: რა ხდება?
მანანა: ყველაფერი კარგადაა. არ ინერვიულო.
ზინა: სად არის?
თინა: ყველაფერს გეტყვით.
ზინა: სად არის ჩემი შვილი?
თინა: არ ვიცი სად წაიყვანეს, მაგრამ...
ზინა: წაიყვანეს?
თინა: (*მანანა*) ძალიან გთხოვთ...
ზინა: ძალიან გთხოვთ, ერთი წუთით დაანებეთ ამას
 თავი და ამისხენით, რა ხდება!
თინა: გაიწვიეს... ანუ... ჯარში გაიწვიეს, ხომ ხვდებით...
ზინა: სად წაიყვანეს?
თინა: არ ვიცი.
ზინა: სად უნდა გავიგო?
თინა: აზრი არა აქვს. ყველგან ვიკითხე, არსად არ
 მეუბნებიან...
ზინა: ამხელა გზა რისთვის გამოიარეთ? ვერ დამირეკავდა?
 მე რატომ არ მითხრა?

პაუზა.

მანანა: მე მითხრა. მთავარ კორპუსში დარეკა და მე
 მიკითხა. სასწრაფოდ გამომიძახეს... მეც წავედი...
ზინა: (*ჩუმად*) მე რატომ არ მითხრა...
მანანა: შენი შეშინება არ უნდოდა.
ზინა: ჩემთან ლაპარაკი არ უნდოდა. (*თინა*) შენ რა
 იცი?
თინა: ერთი კვირის წინ სახელში დაბრუნდა...
ზინა: რა სახელში?
თინა: თქვენს სახელში.
მანანა: ერთად ცხოვრობდნენ.
ზინა: მერე?
თინა: მითხრა: ომი იწყება და ყველა კაცი ომში მიდისო...

მალე ყველაფერი, რაც ომთან კავშირში არაა, ყველაფერი, რაც ომს არ სჭირდება, დამთავრდება, ყველაფერი მწყობრში ჩადგება და ქვეყანას ომი ჩაყლაპავსო. ამაზე არაფერი არ უნდა თქვა, ომზე არავინ არაფერი არ უნდა იცოდეს... ომი გასაიდუმლოებულია და თუ ილაპარაკებ, საფრთხეს შემეიქმნისო.

ზინა: *(მანანას)* და შენ ამის გჯერა?

თინა: ხვალ მივდივარ, შენ კი დედაჩემთან უნდა გადახვიდეთ. სასწრაფოდ ბარგი ჩაალაგე და მასთან გაემგზავრეთ, დღეიდან იქ იცხოვრებ, იქ დამელოდებით...

ზინა: რატომ გადაგვიწყვიტა?

თინა: ...რადგან ჯარისკაცი ვარ, ყოველ თვე პენსია მეკუთვნის, რომლითაც შენც იცხოვრებ და დედაჩემიცო...

მანანა: ფული მარტო ქალებს ექნებათ – ჯარისკაცის დედებს, დებს, ან ცოლებს...

თინა: თვეში ერთხელ კურიერი მოვა, რომელიც ფულს მოიტანს. თუ შიმშილით არ გინდა მოკვდე, მასთან უნდა იცხოვრო, ან სასწრაფოდ ვინმე ჯარისკაცი იპოვო, ვისაც ცოლად გაყვებით...

ზინა: ბოდავთ რაღაცას... რა ჯარისკაცი?

თინა: ფული მარტო იმათ ექნებათ, ვისი ოჯახის წევრი ჯარში მსახურობს.

მანანა: ფული მარტო ჯარისკაცებს ექნებათ, რა ვერ გაიგე?

ზინა: რა სისულელეა, რატომ?

მანანა: ყველაფერი დამთავრდა. წერილშიც წერია.

(მავიდასთან მიდის, კონვერტს იღებს) ჩვენს კვლევასაც ხურავენ, მაგრამ აქედან ვერ მიფეხვართ. შენ არ გითხარით... არ გეინდოდა, ისევე გენერგიულა.

ზინა: რაღაც სისულელეა...

მანანა: ძალიან გთხოვ, დამშვიდდი და ბოლომდე მოგვისმინე. თვეში ერთხელ ფულს ამოიტანენ...

ზინა: რა ფული, რაზე მელაპარაკები?

მანანა: რახან შენი შვილი მსახურობს, ყოველ თვე პენსია გეკუთვნის... როგორც ჯარისკაცის დედას.

ზინა: თავი დამანებე! ისე ამბობ, თითქოს ვერც უნდა იყოს ყველაფერი!

მანანა: ისე ლაპარაკობ, გეგონება, ასეთი რაღაც პირველად გესმის!

ზინა: და შენ რა უნდა ქნა? ვის პენსიაზე უნდა იცხოვრო?

მანანა: არ ვიცი...

ზინა: იქნებ გათხოვდე?

მანანა: არ მეცინება. იქნებ როგორმე გავაღწიო აქედან...

ზინა: შენ არ ამბობდი, არ წაგვიყვანენო?

მანანა: ერთი ადამიანი შეიძლება წაიყვანონ...

ზინა: და მე რა, აქ უნდა ჩავლპე?

მანანა: შენ პენსია გეკუთვნის, მე – არა!

ზინა: (თინას) რამდენს გადამიხდიან?

თინა: ზუსტად არ ვიცი. ბევრი არ უნდა იყოს. ორ კაცს ძლივს ეყოფა, სავარაუდოდ...

ზინა: ჩემგან რას ელოდები? რა გინდა? მართლა აქ უნდა დარჩე? ან რატომ უნდა დაგიჯერო? ვინა ხარ საერთოდ? ჩემს შვილს ერთხელაც არ უხსენებიახარ... მაპატიე, ჩემო კარგო... სხვა ჯარისკაცი უნდა მოძებნო... უფრო სწორედ, სხვა დედა... ნახვამდის.

მანანა: ზინა...

ზინა: ნახვამდის-მეთქი.

მანანა: ჯერ არ მოუელოდია ყველაფერი...

ზინა: არ მაინტერესებს. წადი აქედან. წადი აქედან!

ხელს წააგლებს თინას.

გასასვლელისკენ მიათრევს.

გარეთ გააგდებს.

კარს მოაჯახუნებს.

ზინა: (თავზე ხელებს აიფარებს) დმერთო...

მანანა: ცუდად ხარ?

ზინა: თავი მისკდება!

მანანა: გინდა, რამეს მოგიტან?

ზინა: შენ არსად არ გაგიშვებ. იმ ფულით მე და შენ
ვიცხოვრებთ, გაიგე?

მანანა: შეეცადე ბოლომდე მოუსმინო! (*აბოისუნთქავს*)
კარგი, დღესაც ჩემთან დარჩეს.

ზინა: ხვალ წავიდეს!

მანანა: სად?

ზინა: სად და მშობლებთან... თავის მშობლებთან.

მანანა: არ იციხ, სად არიან... სახლიდან წამოსულა დიდი
ხნის წინ.

ზინა: რატომ?

მანანა: არაფერს არ მეუბნება.

ზინა: აჰ, ეხლა რა გამოდის, რომ მარტო მე ვყავარ?

მანანა: ხო... და ბავშვი.

ზინა: რა ბავშვი?

მანანა: ძალიან გთხოვ, თვითონ მოგიყვება ყველაფერს!

ზინა: რა ბავშვი?!

მანანა: მისი და შენი შვილის ბავშვი.

ზინა: რა?!

მანანა: ფეხმძიმეაა.

ზინა: არა, ეს უკვე მეტისმეტია! ერთი წელია თვალით არ
მინახავს, მისგან სიტყვაც არ გამოგონია, ერთხელაც
არ მოვუკითხივარ და უცებ მიგზავნის თავის მახინჯ,
ფეხმძიმე ძუკნას, რომ აქ თავისი ლეკვები დამიყაროს
და მეც რატომღაც უნდა დავდნე სიხარულისგან!

პაუზა

ზინა: კარგი, კარგი... რა ქვია?

მანანა: ახლა დავუძახებ და შეეცადე, წყნარად
დაეღაპარაკო, დარწმუნებული ვარ, ბევრ საერთოს
გამონახავთ. ჩუმი გოგოა...

ზინა: რა ქვია-მეთქი.

მანანა: თინა.

ზინა: თინა?

მანანა: *(ოცინის)* შენს სახელს ერთობა.

მანანა კარს ადებს.
თინა კართან დგას.
ეწევა.

მანანა: ეწევი?!
თინა: ვანებებ.
ზინა: კარგია, აქ მოწევა არ შეიძლება.
მანანა: შემოდი.

თინა ოთახში ბრუნდება.
ზინა მაგიდასთან მიდის.
უჯრას გამოადებს.
წამალს იღებს და სვამს.

ზინა: რამდენი წლის ხარ?
თინა: ოცდაშვიდის.
ზინა: მშობლები გყავს?
თინა: დედა მყავს.
ზინა: სადაა?

თინა ყოყმანობს.

მანანა: ვერ გაიგე, რა გკითხეს?
თინა: ამაზე ლაპარაკი აუცილებელია?
ზინა: თუ ჩვენ ერთად ცხოვრებას ვაპირებთ...
თინა: დიახ, მესმის...
ზინა: ...უნდა მოვუყვებო ერთმანეთს რაღაცეები, იმიტომ რომ...
თინა: დიახ, გასაგებია... მაშინ თექვსმეტის ვიყავი...
ზინა: *(აწვევებინებს)* ესე იგი, ერთად იყავით.
თინა: ბატონო?
ზინა: ცოლად რატომ არ გაყევი? თუ ესეც არ იცი?
თინა: ა, დიახ... ამაზე ჯერ არ ვფიქრობდით.
ზინა: მერე დაფეხმძიმი...

თინა: ეს იმ დღეს ვუთხარი, როცა გაიწვიეს.

ზინა: ჩემზე რა იცი?

თინა: ბევრი არაფერი.

ზინა: ჩემზე რას ლაპარაკობდით?

თინა: თითქმის არაფერს.

ზინა: გშია?

თინა: არა.

ზინა: მაცივარი თითქმის ცარიელია.

მანანა: (*ღიმილით*) აქ იმდენი საქმე გვაქვს, ხანდახან საერთოდ გვავიწყდება ჭამა...

თინა: (*ზინას*) შეიძლება რაღაც გკითხოთ?

ზინა: როგორც გინდა.

თინა: (*კალიაზე*) ეს რაში გჭირდებათ?

ზინა: ერთი ყოველთვის შემონახული მყავს, თუ ვერაფრის მომზადება ვერ მოვასწარი... გასინჯავ?

უხერხული სიჩუმეა.

მანანა: ჩაის დავადგამ.

ზინა: ვსუმრობ. ისე საკმაოდ ნოყიერი ვინმეა...

პაუზა.

ზინა: ცრიდიდაე.

თინა: ბატონო?

ზინა: კალია! მწერების ზეოჯახი სწორფრთიანების რიგისა... სწორფრთიანი რტპობტერა... აკრიდი...

მანანა: მათი ქცევა, ჩვენი კვლევის საგანია. ორი წლის წინ აქ მათი დიდი შემოსევა დაფიქსირდა, ჩვენ კი მიზეზებს ვიკვლევთ, ამიტომ ვართ აქ.

თინა: აქ ბევრნი არიან?

ზინა: ასეთები ნაკლებად. უფრო ზუსტად, ასეთები აქ საერთოდ აღარ არიან...

თინა: აბა, ეს საიდან მოიყვანეთ?

მანანა: (*იციინის*) ეს ამან გამოიყვანა...

ზინა: ერთ დროს ეს პატარა ურჩხული ერთი ჩვეულებრივი ჭრიჭინა იყო.

თინა: ეს როგორ მოხდა?

ზინა: *(აქედან მოყოლებული თინას თვალს არ აშორებს)* თათებზე პატარა წანაზარდებს ხედავ? საკმარისია ხუთი წამით, ყოველ წუთს, ოთხი საათის მანძილზე ეს ადგილი სპეციალური ფუნჯით გავეუღიზიანოთ, რომ ძალიან მაღე ასეთ წარმოუდგენელ შედეგს ვიღებთ... რა თქმა უნდა, გარკვეულ ნივთიერებებსაც ვაკლებთ, რაც ხელს უწყობს ამ გარდასახვას... თუმიცა, შენ რაში გაინტერესებს ეს ყველაფერი?..

თინა: ამით რას ამტკიცებთ?

ზინა: იმას, რომ ასეთად არ იბადებიან.

თინა: ვერ გავიგე...

ზინა: რთული ამბავია.

მანანა: *(ჩაი მოაქვს, მაგიდასთან ჯდება)* შევეცდები ავიხსნა, ჭრიჭინა ერთობ უწყინარი არსებაა, არაფერს ზიანს არ აყენებს, არავითარ მინდვრებს, ან ბაღებს არ ანადგურებს და საერთოდ, მარტო ცხოვრებას ამჯობინებს, ხომ ასეა? პატარა ზომისაა, სასიამოვნოდ ჭრიჭინებს...

ზინა: ასე რომ, რაიმე პრეტენზია კაცობრიობას ამ მშვიდი არსების მიმართ არ შეიძლება ჰქონდეს...

მანანა: მაგრამ, დროაღრო მშვიდი ჭრიჭინები ერთ გუნდად იკვრებიან და აგრესიულ კალიებად იქცევიან, თანაც ეს მშვიდი არსებები გარეგნულად დიდად არც იცვლებიან...

ზინა: შესაძლოა ოდნავ ზომაში გაიზარდონ, ან ფერი იცვალონ.

მანანა: მაგრამ, როცა კალია კვერცხებს დებს, იქიდან უკვე ჭრიჭინა კი არა, მისნაირი კალია იჩეკება. აი, ეს კი უკვე არავითარ ლოგიკაში აღარ ჯდება, ხომ ასეა?! თუ ჭრიჭინა ხდება კალია, მაშინ როცა დიდ შიმშილს, ან რაიმე ნივთიერების ნაკლებობას განიცდის, რატომ აჩენს კალია თავისნაირ კალიას, თუკი კალია არაფრის ნაკლებობას არ განიცდის?

ზინა: მაისში კალიებმა მეზობელ მდელოებზე გადაინაცვლეს, სადაც კვერცხები დადეს...

მანანა: (*აწვევებზე*) კალიები კვერცხებს დებენ გროვებად, რომელიც ქაფისებრი სითხის გარსშია გახვეული და გაციებისას მკვრივდება.

ზინა: (*თინას*) როცა კალიები გამოიჩვენებენ, ისინი სამხედრო თვითმფრინავებივით სამკუთხედად ჩამწკრივდნენ და პირდაპირ ზღვისკენ გაფრინდნენ, მუსრი გაავლეს ყველაფერს, რაც გზად შეხვდათ. ხალხი ორმოებს თხრიდა და წყლით ავსებდა, რათა შეეჩერებინა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ახლად გამოჩეკილი კალიები გაცილებით ძლიერები იყვნენ, ვიდრე მათი მშობლები... მათ ვერავინ აღუდგებოდა წინ.

კალიების ის სახეობა, რომელსაც მე ვაკვირდებოდი დიდი შემოსევებისას, მარტის ბოლოსკენ აღმოსავლეთის ქარს გამოჰყოლოდა. სადღაც აპრილის შუა რიცხვებში კი ისე გამრავლდა, რომ დიდ შავ ღრუბლად გადაიქცა და მზე დააბნელა... ქართ მობანილი კალიების შავი ღრუბელი ქარსვე მიჰქონდა, მაგრამ მალე ახალი ღრუბელი მოჰქონდა... კალიების სწრაფი გადაადგილებისა და შეჯგუფების მიზეზი მათი დაუოკებელი სურვილია, რაც შეიძლება სწრაფად მოიპოვონ საკვები. რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება იყოს ყველაფერი, მათ შორის... თვითონ კალიები. ანუ, როცა კალიების ერთი ნაწილი ცდილობს თავისზე უფრო ძლიერი კალიებისგან გაიქცეს, მაშინ მეორე ნაწილი, თავისმხრივ, ცდილობს დაეწიოს კალიების სუსტ ნაწილს, რათა შეჭამოს. შედეგად, კალიების მიგრაცია ორ დინებად მიიწევს: წინ „დევნილები“ მიექანებიან, მათ კი „აგრესორების ბატალიონი“ მოსდევს. ამ დროს, ალბათ, ისეთივე გრძნობა ექმნებათ, როგორც ადამიანს სამოქალაქო ომის დროს, როცა შენი თავის გეშინია, როცა საკუთარ თავს გაურბიხარ... გაიგე?

3.

დიდი დრო გავიდა.

თინა ლოგინში წევს. სძინავს.

ზინა და მანანა მაგიდას უსხედან.

ზინა: იშვიათად ბანაობს. კო. ეს ნაკლი აქვს.

მანანა: (იციინის) ნუ იგონებ.

ზინა: ჩემს გვერდით წევს. მე უკეთ ვიცი.

მანანა: კიდევ რა არ მოგწონს?

ზინა ლოგინთან მიდის.

კიდევ ჩაეჭიდება.

ზინა: სულ მიყურებს. რასაც არ უნდა ვაკეთებდე.
მიკროსკოპში ვყავარ...

ლოგინს შეანჯღრევს.

თინა არ იძვრის.

პაუზა.

როგორ გამოვიყურები?

მანანა: რა?

ზინა: კარგად გამოვიყურები?

მანანა: ჩემი აზრით, შესანიშნავად გამოვიყურები.

ზინა: დიდი მადლობა, თ უმცა შენი აზრი ნაკლებად მაინტერესებს. ვერაფრით ვერ ვიჯერებ, რომ ჩემს შვილს ასეთი ქალი მოეწონა. ის კი არა, იმას ვერ ვიჯერებ, რომ იცნობენ ერთმანეთს...

მანანა: რატომ?

ზინა: მემგონი, როგორღაც მივხვდებოდი... ჩემს შვილს ვიცნობდი მასში, ხომ ხვდები?

მანანა: როგორ ფიქრობ, შენს შვილს იცნობ?

ზინა: რა თქმა უნდა...

მანანა: დარწმუნებული ვარ, ეს უკეთ იცნობს. ყოველ შემთხვევაში, ისე იცნობს, როგორც შენ – არა, ამიტომაც ვერ ცნობ...

ზინა: ცოტა ვერ ვხვდები, რას მეუბნები, მაგრამ მაინც ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ქალი მოეწონებოდა.

მანანა: როგორი?

ზინა: შეხედე, კაცს ჰგავს.

მანანა: მიხედე მერე, მოუარე, დაგარცხნე... ასწავლე, როგორ მოიქცეს. შენც გაერთობი, ესეც და დროც უფრო მალე გავა...

ზინა: ცოტა მეზიზღება.

მანანა: უნდა შეეგუო, სხვა გზა არა გაქვს.

ზინა: გასაგებია.

მანანა: იმაზე იფიქრე, რაც მოგწონს.

ზინა: მომწონს, რომ იშვიათად ლაპარაკობს, ყურადღებით მისმენს... მაგრამ ეტყობა, რომ საშინელი მატყუარაა...

მანანა: რა?

ზინა: ხო... სულ რაღაცეებს მიმაღავს. თავისი პატარა საიდუმლოები აქვს და ეს ძალიან მომწონს... რაღაცნაირად ამდიდრებს თითქოს...

მანანა: ძალიან მიხარია.

ზინა: (*ღიმილით*) ხო?

მანანა: ზინა...

ზინა: აი, ესლა, მაგალითად – შენ გგონია სძინავს?

მანანა: რაღაც მეტისმეტად აუტირებული ხარ...

ზინა: რა თქმა უნდა, მგონი, პირველად ცხოვრებაში ჩემი შვილისთვის ვაკეთებ რაღაცას...

მანანა: ასე არ არის და შენც გადასარევად იცი.

ზინა: (*თინაზე*) ნახე, რა სახე აქვს... (*იცინის*)

მანანა: წერილი წაიკითხე, ბოლოს და ბოლოს?

ზინა: წერილი? რა თქმა უნდა.

კონვერტიდან წერილს იღებს.

ზინა: *(კითხულობს)* „...ჩვენ ძლიერ ვწუხვართ, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო, იძულებულნი ვართ დროებით შევწყვიტოთ თქვენი კვლევის დაფინანსება, რათა ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის მაქსიმუმი თქვენი სიცოცხლის დაცვას მოვახმაროთ...“ *(ოცინის)* „მშვიდობიანი მომავლის იმედით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ენტომოლოგიის ექსპერიმენტული ინსტიტუტის დირექტორი, აკად. პროფ. მ. ხარბედია..“ მოკლედ...

მანანა: *(გუთს იღებ)* ჰო, და თუ ამ წერილის წაკითხვისას ცუდად გავხდებოდით, პირველადი დახმარების მედიკამენტებიც გადმოგვცეს, მეტი რა ქნან!

ზინა: შესანიშნავია... მაგრამ, ჩვენ არ გაფიქრდებით. სულ რომ მარტო მე და შენ დავრჩეთ, კვლევას არ შევაჩერებთ. ისედაც ცოტა არ მესმის, სხვა რა უნდა ვაკეთოთ აქ. თუ ეს უბედურება მაღე დამთავრდა, კვლევას მაშინვე აღადგენენ, ჩვენ კი დრო არ გვექნება დაკარგული. თუ დიდხანს გაგრძელდა, უსაქმურობისგან არ გავეცივებით. მთავარია, ზამთრამდე მოვასწროთ ყველაფერი...

მანანა: ზინა... მომისმინე...

ზინა: გისმენ.

მანანა: მე უნდა წავიდე.

ზინა: სად?

მანანა: აქ, მარტო ვეღარ დავრჩები...

ზინა: მარტო არ ხარ. მე გყავარ, თინა გყავს... მაღე შვილიშვილი გვეყოლება...

მანანა: მოკლედ, ხვალ დილას აქედან საფოსტო მანქანას მიყვები.

ზინა: არ წაგიყვანენ.

მანანა: ჩემს მაგივრად მოელაპარაკენ უკვე. თავიდან უარი ვუთხარი, შენი დატოვება არ მინდოდა, მაგრამ ახლა მარტო აღარ ხარ და...

ზინა: უშენოდ მაინც მარტო ვიქნები.

მანანა: ზინა, უნდა წავიდე. თბილისში უნდა დავბრუნდე. იქ უკეთ ვიქნები.

ზინა: მეც წამიყვანე.

მანანა: ორზე მეტს ვერ წავიყვანთო.

ზინა: მე და შენ წავალთ.

მანანა: გოგოს რას უპირებ?

ზინა: იქ ვისთან უნდა იცხოვრო?

მანანა: ჯერ ჩემთან. რაღაც ფული მაქვს... ცოტა ხანი მეყოფა. მერე რამეს მოვახერხებ. იქ უფრო მეტი ხალხია, დამეხმარებიან... ხომ ხვდები.

ზინა: ჩვენც დაგეხმარებით. მაღე ფულსაც მოიტანენ. რამდენიც არ უნდა იყოს, ვიმყოფინებთ...

მანანა: თავიდან კი... მერე ბავშვი გაჩნდება და ცოტა გაგვიჭირდება.

ზინა: მანამდე ყველაფერი დამთავრდება, არა?

პაუზა

მაპატიე, ძალიან გთხოვ.

მანანა: რისთვის?

ზინა: შენზე არ ვიფიქრე როცა სახლში შემოვუშვი...

კარზე აკაკუნებენ.

ზინა სწრაფი ნაბიჯით კარისკენ გარბის. ადებს. გარედან დღის სინათლე შემოდის. კარში კურიერი დგას, კონვერტს აწვდის. ზინა ართმევს. კურიერი ქაღალდებს აწვდის. ზინა ხელს აწერს. გაშტერებული უყურებს. თითქოს ელოდება, რომ რამეს ეტყვის. კურიერი მიდის. ზინა ღია კარში რჩება.

ზინა: დღეს რა რიცხვია?

მანანა: რვა.

კონვერტს ხსნის. ფულს ითვლის.

მანანას უყურებს.

ფულს დახედავს.

მანანას უყურებს.

სიბნელე

4.

**დიდი დრო გავიდა.
თინა ლოგინი წევს.**

ლაშვა.

ზინა: თინა...

თინა: გისმენო.

ზინა: შენ ჩაკეტე?..

თინა: თქვენ როგორ ფიქრობთ?

ზინა: გასაღები მომეცი, ძვირფასო.

თინა: არა.

ზინა: გასვლა მინდა.

თინა: (*მძინარე ხმით*) უკვე გვიანია, გარეთ ბნელა და სახიფათოა.

ზინა: აუცილებლად უნდა გავიდე, საშინლად მცხელა...

თინა: გუშინაც გცხელოდათ?

ზინა: რა?

თინა: გამეღვიძა და საწოლში არ დამხვდით.

ზინა: წუხელ არ ავმდგარვარ... ღრმად მეძინა.

თინა: გარეთ გამოვედი, თქვენ კი შუა ქუჩაში იდექით და საკუთარ თავს ელაპარაკებოდით. დიდი ხანი იდექით გაუნძრევლად...

ზინა: მომეცი გასაღები.

თინა: მერე სახლისკენ დაიძარით, მე სასწრაფოდ ლოგინში ჩავწექი და თვალები დავხუჭე.

ზინა: გასვლა მინდა...

თინა: რატომ გახვედით?

ზინა: ჰაერი თუ არ ჩავეყლაპე...

თინა: ხომ იცით, რომ სახიფათოა.

ზინა: ძლივს ვსუნთქავ.

თინა: არ გეშინიათ?

ზინა: (*ფანჯარას მივარდებ*) გარეთ პატარა ბიჭი დგას, თინა... მარტოა. მუხლებიდან სისხლი სდის, ტანსაცმელი მტვერში აქვს ამოგანგლული.

თინა: (წამოდგება) რა?

ზინა: ჯარისკაცის ფორმა აცვია, მხარზე პატარა წითელი დოლი აქვს გადაკიდებული... მე მეძახის!

თინა: სისულელე.

ზინა: სამი დღე მოვრბოდი იმ ადგილიდან, სადაც ყველა ათი წლის ბავშვი მიყავთო.

თინა: ახლავე დაწექით და დაიძინეთ...

ზინა: ყველა პატარა ბიჭი იქაო. დედებს ართმევენ და პირდაპირ იქ მიყავთო... შემდეგ თმას პარსავენ და მწკრივში აყენებენო. მხარზე პატარა თოფებს კიდებენ და ბრძოლის ველზე უშვებენო... შენი ბიჭიც იქაო, მითხრა... კარგად დავიმახსოვრე მისი სახეო... მამაცი ბიჭიაო... ვიცი, მე გაეზარდე და ამიტომაცაა ჯარისკაცი-მეთქი.

თინა: გეყოფათ, ბოდავთ რაღაცას!

ზინა: გამიშვი.

თინა: სად?

ზინა: უფლება მაქვს ვიცოდე, ჩემი შვილი ცოცხალია, თუ არა.

თინა: და სად აპირებთ ამის გაგებას?

ზინა: იქნებ ორი თვის წინ მოკლეს და ამდენი ხანია სულ ტყუილად ველოდები?

თინა: გასაგებია...

ზინა: ან ერთი თვის წინ...

თინა: სულ არ მეცინება.

ზინა: იქნებ, თვენახევარია, არ იციან სადაა...

თინა: გასაგებია, მესმის...

ზინა: ზუსტად ნახევარი საათის წინ მოკლეს. ოცდათერთმეტი წუთის წინ ცოცხალი იყო... საიდან უნდა ვიცოდე?!

თინა: რა უფლებით მეუბნებით ასეთ რაღაცეებს?

ზინა: ომი მართმევს ყველაფერს, რაც მიყვარს... სამაგიეროდ, ყოველ თვე ფულს მაძლევს, რომ ვიცოცხლო, ვიცოცხლო და ყოველდღიურად ვაკვირდებოდე – რა ემართება ჩემს ცხოვრებას...

თინა მასთან მიდის. ლოგინისკენ მიჰყავს.

მხოლოდ ეს პენსია მეუბნება, რომ ჩემი შვილი ცოცხალია.
ყოველი დღე იწყება იმის შიშით, რომ თვის ბოლოს
პენსია აღარ მოვა და შენც მიმატოვებ.

ვარჯიდან დოლის ხმა ესმის.

თინა: მოდით აქ. დაწექით.

**ძალაგამოცლილი ზინა ლოგინში წვება, ძლივს
ლაპარაკობს.**

ზინა: ეს ზურგიდან იწყება... ყოველთვის ზურგიდან
იწყებოდა. გეგონება, გველი მყავს შემოხვეული
ხერხემალზე...
მერე ზემოთ მიიზღაზნება და თავში იბუდებს...
ზოგჯერ ტკივილი იმდენად აუტანელი ხდება...
მაგრამ, მერე უცებ ის წამი დგება და...

დოლის ხმა წყდება.

ზინა თვალებს ხუჭავს.

თინა ტანსაცმელს ხდის.

ზინა: ორი წლის არ ვარ. თვითონაც შემიძლია.

თინა: ვიცი.

ზინა: რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, ასე რომ მივლი,
მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ სულ არაა აუცილებელი.

თინა: ვიცი.

ზინა: თვითონაც შემიძლია.

თინა: ვიცი, რომ შეგიძლიათ.

ზინა: რატომ აკეთებ ამას?

თინას წყალი და პირსახოცი მოაქვს.

მგონი მოგწონს, გახდილს რომ მიყურებ...

თინა სველი პირსახოცით ხელებს უხეღს.

ზინა: ამაში ცუდი არაფერია, მეც მომწონდა, პატარა რომ ვიყავი. მახსოვს, დედაჩემს მივაშტერდებოდი და ვუფიქრობდი, რომ ოღესმე მეც ასეთი ვიქნებოდი.

თინა: წამოიწიეთ.

ზინა ჯდება, თინა მხრებს უხეღს.

ზინა: სანამ ჩემს შვილს გაიცნობდი, ვინმე გყოლია?

თინა: აუცილებელია ამაზე ლაპარაკი?

ზინა: აუცილებელია.

თინა: კი.

ზინა: რამდენი?

თინა: არ დამითვლია...

ზინა: არ მჯერა. თქვი რამდენი?

თინა: ცხრა.

ზინა: ის როგორი იყო?

ინა: ვინ?

ზინა: გარკვევით ვლაპარაკობ.

თინა: გარკვევით გასუსხობთ, ამაზე ლაპარაკი არ მინდა.

ზინა: პირველად სად გქონდათ?

თინა: სახლში.

ზინა: ჩემს სახლში?

თინა: თქვენ სახლში არ იყავით.

ზინა: რა ადგილას?

თინა: საწოლში.

ზინა: კიდევ?

თინა: მაგიდაზე.

ზინა: როგორი იყო?

თინა: საწოლში?

ზინა: მაგიდაზე...

თინა: ნაცემივით ვიყავი ყოველ ჯერზე.

ზინა: (იცინის) რა თქმა უნდა.

თინა: და თქვენ?

ზინა: რა, მე?

თინა: ბევრი გყავდათ?

ზინა: (ღიმილით) ვინ?

თინა: კაცები.

ზინა: მტერი უფრო მეტი მყავდა. (იცივის)

ყველა, ვინც მიყვარდა ოდესმე, ჩემი მტერი ხდებოდა.

თინა: ქმარიც?

ზინა: ქმარი არასდროს მყვარებია.

თინა: რამდენი?

ზინა: შენ ამას ვერ გაიგებ... მაშინ სხვა დრო იყო...

თინა: რამდენი?

ზინა: ერთი... ყველა დანარჩენი იბრძოდა... ჩვენს წინააღმდეგ. ყველა, ვინც შეიძლება მყვარებოდა. ქვეყანა ორად გაიხლიჩა და... მე სხვა მხარეს აღმოვჩნდი. რთული დრო იყო, საკუთარ მეგობრებს გაეუბრძოდით, ერთმანეთის გვეშინოდა... მერე, ჯარისკაცს გავეყვი ცოლად... რაღაც ხომ უნდა გვეჭამა მე და ბავშვს...

თინა: პენსიის გამო გათხოვდით?

ზინა: ჰო, ჩვენ იმაზე მეტი საერთო გვაქვს, ვიდრე შენ გგონია, ომის დროს ყველა ერთნაირად იქცევა – მთავარია, ცოცხალი იყო, დანარჩენს მნიშვნელობა ეკარგება. არის დრო, როცა უნდა გადარჩე და ყველაფერს გააკეთებ ამისთვის. როგორც არ უნდა ეცადო, ყველაფერი გადარჩენისკენ გიბიძგებს და შენც არ კვდები... ომს თავისი კანონები აქვს, რომელსაც ვერასდროს ვერ გაიგებ.

ომს ვერ გაიგებ, ვიდრე თვითონ არ გახდები ომი.

არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

თინა: მომიყვით.

ზინა: ხაფანგში ხარ, შენი სქესი შენი ციხეა. ვალდებული ხარ, ჯარისკაცები აჩინო, იმიტომ, რომ ქალი ხარ და ომს ასე სჭირდება. საკუთარ მკვლევებს აჩენ... ყველაფერი, რაც ახლა მჭირს, მისი ბრალია. მერვე თვეში ვიყავი. ომიც მაშინ დაიწყო. ასეთი არაფერი აქამდე არ მიგრძენია. თითქოს დარჩენილი ერთი

თვე ერთ წუთში გავიარე. ძალით გამოძვლიჯეს. მკვდარიო, ექიმმა თქვა. მაგრამ, არ მოკვდა. უცებ კივილი დაიწყო... საშინელი, საზიზღარი ჭყიპინი, ახალშობილები ასე არ ტირიან... ერთი კვირა თვალებს ვერ ახელდა, მაგრამ გაუთავებლად კიოდა... მასთან შედარებით ყველა სუსტები ვჩანდით, მეც და ექიმებიც... ის გადარჩა, რა თქმა უნდა. მე – ვერა. მე ხერხემალი სამუდამოდ დამედრიცა. წესიერად ვერ ვიმართებოდი, ძლივს დავდიოდი, მეორე ბავშვის გაჩენაზე ოცნებაც ზედმეტი იყო... არადა, გოგო მინდოდა... ყოველთვის გოგო მინდოდა.

ხანგრძლივი პაუზა.

მოდით ჩემთან.

მიიხუტებს, მუცელზე ეფერება.

ზინა: ჩემი ერთადერთი იმედი ხარ... ჩემი ერთადერთი საყრდენი... სულ ჩემთან უნდა იყო, არასდროს არ გაგიშვებ... მხოლოდ მე და შენ დავრჩით... და პატარა... მხოლოდ ჩვენ ვართ და ჩვენ ცოცხლები ვართ... მთავარი ესაა... დანარჩენს მნიშვნელობა არა აქვს... დანარჩენები უნდა დავივიწყოთ... ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ...

თინა მოცილდება.

ზინა: გეშინია, რომ შემეჩვევი, არა?

თინა: რა?

ზინა: გეშინია, რომ აქედან წასვლა გაგიჭირდება. ვიცი, რამე რომ მოხდეს, აუცილებლად წახვალ.

თინა: რა უნდა მოხდეს?

ზინა: რომ მოკლან...

თინა: ამაზე რატომ ფიქრობთ?

ზინა: იმიტომ რომ იბრძვის, შტერო.

თინა: მერე, თქვენ რა უფლება გაქვთ, დარჩენა მომთხოვოთ. მე ჩემი ცხოვრება მაქვს და ჩემთვის მთავარი არაა ვიცოცხლო. ნებისმიერ წამს შემიძლია გამოვიჭრა ყელი.

ზინა: სულელო, არაფერი არ გესმის...

თინა: მეტსაც გეტყვით, სულ არა ვარ ვალდებული აქ ვიყო. ველოდო, რომ ომი დამთავრდება, ველოდო, რომ დაბრუნდება...

ზინა: ელოდო ბავშვის გაჩენას, ან მის სიკვდილს ელოდო...

პაუზა 1 წუთი ვრძელდება.

თინა: საკმარისია...

ზინა: სიკვდილზე საშიში არაფერი არ არსებობს, ხო?

თინა: არა მგონია, თუ მოკლეს, ის მაინც გვეცოდინება, რომ აღარ დაბრუნდება.

ზინა: მაგრამ, მე თუ მოგკვდი... ამაზე არ გიფიქრია?

თინა: რატომ უნდა მეფიქრა?

ზინა: ჩემი სიკვდილის შემთხვევაში რა მოხდება?

თინა: არ ვიცი.

ზინა: ალბათ პენსიას შეწყვეტენ, თუ არა?

თინა: არ ვიცი, შეიძლება – არა. ძილის დროა. უკვე გვიანია.

ზინა: იქნებ ჩემს მოკვლაზეც გიფიქრია?

თინა: რა?

ზინა: თუ მოგკვდი, პენსიას შეწყვეტენ და მერე ნახავ... ბავშვით ხელში ხეტიალი მოგიწევს, სანამ ვინმე შეშლილს არ გადაეყრები, ვინც შენს ცოლად მოყვანას დათანხმდება...

თინა: ის ცოცხალია, მე და თქვენ ცოცხლები ვართ. ყველაფერი კარგად იქნება.

ზინა: არა, ჩემი შვილი მოკვდა მაშინ, როცა ომში გაიწვიეს. ომიდან რომც დაბრუნდეს, მაინც მკვდარი იქნება, მე ვიცი, იქ რაც ხდება. ვიცი, რა შეუძლია ადამიანს, როცა სახეს კარგავს, როცა ვეღარ არჩევს,

ვინაა მტერი და ვინ არა და ისიც ასეთია... ყველა ერთნაირია! (მოკლე პაუზა) არა, ჩემი შვილი ასეთი არაა... ჩემი შვილი გმირია!

5.

დიდი დრო გავიდა.

თინა და კურიერი.

ზინა სახლში არაა.

თინას კონვერტი უჭირავს.

თინა: (ძალიან სწრაფად, თითქოს ცდილობს ყველაფრის მოყოლა მოასწროს, ვიდრე გააწყვეტინებენ) მაპატიე, დღეს არ გელოდით. მაღე დაბრუნდება... უთენია გარეთ გაიქცა. ხომ იცი, ყოველ დღე ახალ მწერებს იჭერს, თუმცა შენ საიდან უნდა იცოდე... ხო, მერე შემდეგ ამ ქილებში სვამს... მთელი დღე აკვირდება და იწერს, რას განიცდის ესა თუ ის მწერი დიდხანს თუ გამოამწყვდევ... რამდენად ბრძოლისუნარიანი ხდება, ან პირიქით... ეს მწერები დღის ბოლოს აუცილებლად იხოცებიან, მაგალითად – ბუხები, ნემსიყლაპიები... მაგრამ, ზოგიერთები მეორე დღემდე არ იხვენებენ, მაგალითად – კალიები. კალიების ყველაზე დიდი კოლექცია გვაქვს. ამასწინათ დიდი მუყაოს ყუთი გაგლიჯა და კედელზე გააკრა, ზედ დახოცილი მწერები ნემსით მიამაგრა და ყოველ მათგანს ქვეშ ლათინური წარწერა გაუკეთა. გულისამრევი სანახაობაა – დახოცილი მწერები...

მაგიდასთან მიჰყავს.

კურიერი: (შკაჯრადა) ცოტა დრო მაქვს.

თინა ჩერდება. ამდენი ხნის განმავლობაში პირველად გაიგო მამაკაცის ხმა.

თინა: რამდენი წლის ხარ?

კურიერი: ოცდაერთის.

თინა: მე ბევრად უფროსი მეგონე. კარგია, აქ რომ არაა, ხო? ამდენი ხანია გიცნობ და ვერცერთხელ ვერ დავილაპარაკეთ. სიგარეტი არ გაქვს? საუკუნეა არ მომიწევია...

**კურიერს სიგარეტს იღებს.
აწვდის. უკიდებს.**

თინა: მადლობა, ღმერთო! (*იცინის*) დიდი ხანია მსახურობ?

კურიერი: რაც ომი დაიწყო.

თინა: მოდი, ომზე არ ვილაპარაკოთ.

კურიერი: მოდი, საერთოდ არ ვილაპარაკოთ. მოაწერე დროზე ხელი და წავალ.

თინა: ამის უფლება არ მაქვს.

კურიერი: რატომ?

თინა: არავინ არ ვარ ჯარისკაცისთვის. დედამისმა უნდა მოაწეროს, ხომ ხვდები...

კურიერი: (*ჯდება*).

თინა: მალე მოვა. სუსტადაა, შორს ვეღარ მიდის. სადღაც აქვე იქნება.

კურიერი: წადი და მოიყვანე მერე.

პაუზა.

კურიერი: მიდი, მოიყვანე.

თინა: რატომღაც მეგონა, რომ ყველა კურიერი ქალია.

კურიერი: ხო, საერთოდ ეგრეა.

თინა: შენ რატომ არ იბრძვი?

კურიერი: მე მეგონა ომზე ლაპარაკი არ გინდოდა...
წვრთნების დროს დამჭრეს.

თინა: სად?

კურიერი: მკლავში.

თინა: შეიძლება შეეხედო?

**კურიერი ერთხანს გაუნძრევლად ზის. შემდეგ მარჯვენა
სახელს აიწვეს.**

თინა: მერე ასეთი რაღაცეების გამო როდის აქეთ
ათავისუფლებენ ჯარიდან?

კურიერი: ამ სამ თითს ვერ ვამოძრავებ.

თინა: როგორ გაგიმართლა.

კურიერი: არა მგონია.

თინა: ალბათ, დედაშენი ძალიან ბედნიერია.

კურიერი: დედა არ მყავს.

თინა: შეიძლება? (*მის ხელს აიღებს, შრამზე უყურებს*)
უზარმაზარია...

კურიერი: ეგ რა არი, აქეთა მხრიდანაც მაქვს.

ხელს გადმოატრიალებს.

თინა: (*იციინის*). აქეთა კიდევ უფრო დიდია, ხო?!

კურიერი: პარაბელუმი, ცხრა მილიმეტრიანი... ხელი
გამიხვრიტა, ნაბოზარმა.

თინა: ვინ?

კურიერი: არავინ. მე თვითონ გამივარდა.

თინა: (*ეციინება*).

კურიერი: რა მოხდა?

თინა: მითხარი, მარტო ცხოვრობ?

კურიერი: არა.

თინა: ვინმე გყავს?

კურიერი: გოგო?

თინა: ხო, გოგო გყავს?

კურიერი: არა, არავინ არ მყავს და მეკითხები ასეთ
რაღაცეებს. ვიცი, საითკენაც მიგყავს საუბარი.
სამსახურში ვარ მე.

თინა: ამ სახლში ყველაფერი უცხოა ჩემთვის. მარტო
ვარ. ყველგან საფრთხეს ვგრძნობ.

კურიერი: მერე რა გინდა?

თინა: აქედან უნდა წამიყვანო. შეგიძლია? უნდა
დამეხმარო. აქედან დროზე უნდა გავიქცე! იმიტომ

რომ რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვრწმუნდები,
რომ ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ დასაწყისია.

კურიერი იცინის.

თინა შრამზე კოცნის.
კურიერი მსუბუქად გაარტყამს.

კურიერი: (ღიმილით) რას აკეთებ?

თინა: ძალიან გთხოვ.

კურიერი: რას აკეთებ?

თინა: გეხვეწები.

კურიერი: გაიწიე.

თინა: რასაც გინდა, იმას ვიზამ.

კურიერი: ვერ გაიგე, რა გითხარი?

თინა: რა მოხდა, გეშინია?

კურიერი: დაწყნარდი-მეთქი.

ტელევიზორთან მიდის.
რთავს.

ტელევიზორში იხვი დონალდის სერიას აჩვენებენ.

თინა: არავის არაფერს არ ვეტყვით. აი, ამას ხედავ?
მომეცი ხელი.

კურიერი გაუბედავად აწვდის.

თინა ბეჭედს იხსნის.

ნეკა თითზე უკეთებს.

ბეჭედი ძალიან ქალურია.

კურიერი: ლამაზია.

თინა: მორჩა. მე და შენ დანიშნულები ვართ.

მის ბეჭდიან ხელს ფეხებშორის იღებს.

ერთხანს ასე რჩებიან.

თინა ფეხზე დგება, კაბას იხსნის,

მკერდს გაიშიშვლებს.

კურიერი არ იძვრის.
კურიერმა არ იცის, რა ქნას.
თინა იხდის.
შემდეგ ტუჩებზე ეფერება.
პირს გაუღებს და კოცნის.
გაუბედავად.
შემდეგ უფრო ვნებიანად.
ხელი მისი შარვლისკენ მიაქვს.
ღიღებს უხსნის.
შარვალში ხელს უყოფს.
კოცნას არ წყვეტს.
კურიერი მთლიანად მთავრდება.

თინა: რა მოხდა?
კურიერი: პირი გიყარს.

კურიერი ტუჩებს მთავრდება.

კურიერი: რას მომაშტერდი? (*შარვლის ღიღებს იკრავს*)
მაგდენი დრო არ მაქვს, მიდი გაინძერი და ის ბებერი
მოიყვანე.

ტელევიზორის წინ ჯდება.
უყურებს.

თინა: მაპატიე...
კურიერი: გაჩუმდი.
თინა: შენი შეშინება არ მინდოდა!

*კურიერი ფეხზე წამოვარდება, იარაღს ამოიღებს,
უშვერს.*

თინა: რას აკეთებ?
კურიერი: რა გინდა ჩემგან?
თინა: რა?
კურიერი: ასე მოქცევა არ შეიძლება, ხომ გითხარი!
რატომ აკეთებ ამას, გინდა რომ დამსაჯონ?!
თინა: ძალიან გთხოვ... გაწიე ეს...

კურიერი: გინდა რომ დამსაჯონ?!

ჭერში იყურება.

თინა: რას აკეთებ? შემომხედე... ყველაფერი კარგადაა, გესმის?

კურიერი: ჩვენი ქვეყანა ახლა უდიდეს განსაცდელშია...

თინა: რა?

კურიერი: ახლა ქალების დრო არაა... მხოლოდ ქვეყანაზე უნდა ვიფიქროთ... შენ კიდევ უნდა დამემორჩილო! რასაც გეტყვი, იმას გააკეთებ, გაიგე?!

თინა: კარგი... ოღონდ იარაღი შეინახე...

კურიერი: გაიგე, რაც გითხრი?! მუხლებზე დადექი!

თინა ერთხანს ყოყმანობს.

მუხლებზე დგება.

კურიერი: ეს ბეჭედი ვინ გაჩუქა..?

თინა: მომეცი!

კურიერი: შენმა საქმრომ?

თინა: (დგება). მომეცი, სწრაფად!

კურიერი: გაუხარდება, ღამაზად შევფუფუთავ და ისე გავუგზავნი... თვალები დახუჭე და პირი გააღე!

თინა უყურებს.

არ იძვრის.

კურიერი თმაში წაავლებს ხელს.

მუხლებზე აყენებს.

იარაღს უშვერს.

თინა თვალებს ხუჭავს.

ცრემლები მოსდის.

პირს აღებს.

კურიერი ტუჩებზე ღუღას უსვამს, შემდეგ პირში შეთხრის.

კურიერი: ათიდან უკან დავითვალთ. მოდი. ერთად: ათი...

პაუზა.

თინა: ათი.

ყოველ რიცხვზე კბილებზე ლულას უკაკუნებს.

კურიერი: ცხრა...

თინა: ცხრა.

კურიერი: რვა...

თინა: რვა.

კურიერი: შვიდი...

თინა ღუმს.

შვიდი!

თინა: შვიდი...

ექვსი...

ხუთი...

კურიერი: მერე?

თინა: სამი...

ორი...

ერთი....

კურიერი: *(ოცინის)* ყოჩაღ!

პირში ბეჭედს ჩაუდებს, იარაღს გამოუღებს.

გასასვლელისკენ მიდის.

შემოდის ზინა.

მწვანე კაბა აცვია და კოსმეტიკის სქელი ფენა ადევს.

შიშველ თინას დაინახავს. სასწრაფოდ კურიერს

გახედავს.

ზინა: *(ღიმილით)* დღე მშვიდობისა.

კურიერი ქადალდს გაუწოდებს.

ზინა მაგიდასთან მიდის, ხელს აწერს.

კურიერი გამოართმევს, კონვერტს მაგიდაზე დადებს.

გადის.

6.

**ტელევიზორში იხვი დონალდის სერიას აჩვენებენ.
ზინა გაუნძრევლად ზის. ტელევიზორისკენ იყურება.
თინას ღრმა სუნთქვა ისმის.**

ხანგრძლივი სიჩუმე.

თინა პირიდან ბეჭედს გამოიღებს.

ზინა: იცი, ამასწინათ ვფიქრობდი, ყურები რატომ არ გაქვს გახვრეტილი?

თინა: რატომ უნდა მქონდეს?

ზინა ლოგინიდან გადასაფარებელს აიღებს.

შიშველ თინას აფარებს. არ უყურებს.

ზინა: გინდა ვცადოთ?

თინა: არ ვაპირებ ამის გაკეთებას!

ზინა: რა ვქნა, შეგეხვეწო?

თინა: სხვა გასართობი ნახეთ!

ზინა: *(ენის მოჩლეკით)* ჩემი ლამაზი გოგო ხარ შენ, ჩემი თოჯინა... *(მოფერებას ცდილობს, თინა იშორებს)* ჩემთან მეგობრობა არ გინდა?

თინა: არა მგონია.

ზინა: არა, მაგრამ...

თინა: არა.

ზინა: შენი აზრით ვერ დავმეგობრდებით.

თინა: უკვე გვიანია.

ზინა: რატომ?

თინა: მეთოდები არ გივარგათ.

ზინა: ჩემს თოჯინას გრძელი ენა აქვს! *(ოცინის)* მინდა რომ ლამაზი იყო, სულელო. არ გეჩვენება, რომ საზიზღრად გამოიყურები? ბიჭს გავხარ... მოდი, მოდი, ადექი.

თინა: *(წამოიყვირებს)* თავი დამანებე!

ზინა: *(მშვიდად)* საინტერესოა, ჩემი შვილი აქ რომ ყოფილიყო, ამდენს გამიბედავდი?

თინა: თქვენი შვილი აქ რომ ყოფილიყო, ბევრი რამ სხვანაირად იქნებოდა.

ზინა: არ გაიხვირიტო. უბრალოდ გოგო ხარ და...

თინა დგება. ტელევიზორთან მიდის. გადართავს. ტელევიზორში იხვი დონალდის სერიას აჩვენებენ, სადაც იხვი დონალდი გოლფს თამაშობს. გადართავს. ტელევიზორში იხვი დონალდის სერიას აჩვენებენ, სადაც იხვი დონალდი თავის ძმისშვილებს ომობანას ეთამაშება. გადართავს. ტელევიზორში იხვი დონალდის სერიას აჩვენებენ, სადაც იხვი დონალდს ჰელოუინზე ცოცხზე ამხედრებული კუდიანი დასდევს.

ჯდება. ყურიდან თმას გადაიწვეს.

თინა: ოღონდ ფრთხილად ქენით.

ზინა ასანთს ჩამოკრავს. ალზე ნემსს გაატარებს, სულს შეუბერავს, რომ გაგრილდეს.

თინასთან მიდის.

ბიბილოში ნემს ჩაარჭობს.

თინა კენესის.

ზინას ნემსი არ ამოაქვს.

ზინა: *(ტელევიზორის ხმის გადაფარვა უწყევს)* შენს ცხოვრებაში ერთი რამის შეცვლა რომ შეგეძლოს, რას შეცვლიდი?

თინა: რაა?

ზინა: *(ნელა).* შენს ცხოვრებაში... ერთი რამის შეცვლა რომ შეგეძლოს...

თინა: *(კვივს).*

ზინა: ...რას შეცვლიდი?

თინა: ყველაფერს.

ზინა: რაზე ოცნებობ?

თინა: იმაზე, რომ დროზე ამომაცალო ეგ დედამოცენული ნემსი, შე დედამოცენული ბებერო მუტელო!

ზინა: არა, ამაზე ამწუთას ოცნებობ... საერთოდ რაზე ოცნებობ?

თინა: არ ვიცი...

ზინა: ღმერთის გწამს? გჯერა, რომ სამოთხე არსებობს?

თინა: გთხოვთ...

ზინა: *(მშვიდად)* მიპასუხე.

თინა: არა, საერთოდ არა!!!

ზინა: ესე იგი, არც ჯოჯოხეთის გწამს... ისე, საინტერესოა, შენისთანა გოგოს წესით უნდა...

ტელევიზორის ხმა შეაწუხებს. ნემსს ამოაცლის, სისხლიან ხელებს ხელსახოცით გაიწმენდს, ტელევიზორთან მიდის და თიშავს. სიჩუმეს მხოლოდ თინას ღრმა სუნთქვა არღვევს.

ზინა: დამელაპარაკე.

ხანგრძლივი დუმილი.

ზინა: დამელაპარაკე!

თინა: საყურეები გაქვს?

ზინა კარადასთან მიდის. გამაყურებელს იღებს. რამდენიმე ტაბლეტს ხელის გულზე გადმოიყრის. აწვდის.

ზინა: დალიე. *(მასთან ჩაიმუხლავს)* მიდი, გთხოვ, დალიე და აღარ გეტკინება.

თინა მის სახეს ხელებით იჭერს, უგრძეს საყურეს მოხსნის, გაჭირვებით იკეთებს და გვერდზე იყურება.

ზინა: შემომხედე... შეგიძლია შემომხედო?..

თინა: მიყვარხარ.

სიბნელე.

7.

*დიდი დრო გავიდა.
კარზე აკაკუნებენ.*

**ზინა ლოგინში წევს.
თენდება.
თინა კარს აღებს.**

შემოდის მანანა.

თინა: შენ ხარ?

მანანა: მაპატიე, ასე ადრე მოგადექით. ამდენი ხანი დაკავშირებას ვცდილობ, მაგრამ კორპუსში არავინ არ მპასუხობდა. შემეშინდა. მაინტერესებდა, როგორ ხართ. სად არის?

თინა: მთელი დამე გაათენა, ისე ცუდად იყო. ახლა სძინავს. თქვენ როგორ ხართ?

მანანა: კარგად. მგონი გადავრჩი. ჩემი ძმის ოჯახში გადავედი. რთული ხალხია, არ მინდოდა მათთან, მაგრამ რაღაცნაირად ვუგებთ ერთმანეთს. ჩემი ძმისშვილები... ორივე გაიწვიეს...

თინა: რა გაიგეთ? როგორ არიან, იცით?

მანანა: არაფერი არ ვიცი. არაფერს არ გვეუბნებიან. თბილისში საერთოდ არაფერი არ იციან. ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს საერთოდ არაფერი არ ხდება. თქვენკენ რა ხდება, მითხარი, თქვენ როგორ ხართ? ძალიან ცუდალა?

თინა: ცუდად.

მანანა: რატომ?

თინა: უარესადაა. მოსვენება დაკარგა, თითქმის აღარ სძინავს. ამბობს, მოლანდებები დამეწყო...

მანანა: იგონებს, მაგან ეგრე იცის.

თინა: არ ტყუის... მთელი დამეები კითხულობს, წერს... ძალიან შეიცვალა, თვითონაც გრძნობს ამას... სანამ აცივდება, კვლევა უნდა დავამთავრო, თორემ მერე

თოვლი წამოვა და ვერაფერს ველარ მოვასწრებო. საშინლად მომაბეზრებელი გახდა. თითქოს მის გარდა არავინ არ არსებობს. მთელ ფულს წამლებში ხარჯავს, რომლებიც არ შევლის.

მანანა: გააღვიძე, ძალიან გთხოვ, უნდა ვაკოცო და გავიქცე.

თინა: დილიდან სახეს კოსმეტიკით იფარავს და მეუბნებოდა – ლამაზები უნდა ვიყოთო, ტვინი წაიღო უკვე ამის ლაპარაკით. უკანასკნელ ძალას მართმევს და თითქოს ამით უფრო ძლიერი და ახალგაზრდა ხდება... სიგარეტი არ გაქვთ?

მანანა: არ ვეწევი... მეგონა დაანებე.

თინა: ჰო... კიდევ ერთი რაღაც...

მანანა: რა?

თინა: მუცელი მომეშალა.

მანანა: როდის?

თინა: თქვენ რომ წახვედით, ერთ თვეში...

მანანა: ექიმი ნახე?

თინა: არავინ არ მინახავს.

მანანა: ასე არ შეიძლება. ტკივილები გაქვს?

თინა: აღარ. დიდი ხანია.

მანანა: მოუყევი?

თინა: არა.

მანანა: ძალიან კარგი. უკეთესი იქნება, თუ არაფერს არ ეტყვი.

თინა: ვიცი.

მანანა: არ უნდა ინერვიულოს. მით უმეტეს, თუ ისედაც ასეთ დღეშია.

თინა: ვიცი, მაგრამ ოდესმე მაინც მიხვდება...

მანანა: რა უნდა ვქნათ?

თინა: წამიყვანე აქედან, ძალიან გთხოვ.

მანანა: (*შკაჯრაღ*) გამორიცხულია. მე თვითონაც ძლივს ჩამოვედი. თანაც, არ დაგავიწყდეს, რა პირობით დაგეხმარე. ზინას ჭირდები, უნდა მოუარო...

თინა ქვითინებს.

მანანა მოეხვევა.

მანანა: მოკლედ, ასე ვქნათ, რამდენიმე თვე გაუძელი. იქნებ მანამდე დამთავრდეს ყველაფერი.

თინა: რომ დაბრუნდეს და აქ დავხვდე?

მანანა: თუ დაბრუნდა... *(ტონს ცვლის)* აქ არ დაბრუნდება.

თინა: დიდხანს ვერ გავეუძლებ.

მანანა: აქ ჯობია, თინა. ქალაქში ვერ გადარჩები, მშვიდად ვერ გაივლი. ყველგან ძარცვა და ყაჩაღობაა... ხალხი გიჟდება, შიშისგან ერთმანეთის ჭამა დაიწყეს. მაღაზიები ორ წამში ცარიელდება, ყველაფერს იმარაგებენ, ოღონდ რამე წაართვან ერთმანეთს და მერე შეინახონ... ყველაფერზე რიგებია! ხალხი რიგებში ცხოვრობს... არა, ძვირფასო, აქ ბევრად მშვიდად ხართ, აქ უსაფრთხოდ ხართ!

თინა: როცა გაიგებს, რომ ვატყუებდი, გამაგდებას.

მანანა: არ გაგაგდებას – შენ მას ჭირდები... შენც გჭირდება... და ბოლოს თუ რამე იეჭვა, სიმართლეს ეტყვი.

თინა: რა სიმართლეს?

მანანა: ეტყვი, რომ მუცელი მოგეშალა.

მანქანის მოახლოების ხმა ისმის.

მანანა: მომაკითხეს. უნდა გავიქცე, სანამ აქაურებმა შემამჩნიეს. როგორც კი რაღაცას გავიგებ, მაშინვე შეგატყობინებ.

თინა: მოიცადეთ, გავაღვიძებ...

მანანა: არა, არ არის საჭირო. რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ მისი შეშინება არ მინდა... თავს მიხედე და ამასაც მოუარე. ვეცდები, კიდევ ამოგაკითხოთ.

თინა: რა გადავცე?

მანანა: ჯობია, არ იცოდეს, აქ რომ ვიყავი...

თინა: კარგით.

მანანა: არაფერი არ უთხრა.

თინა: კარგით.

მანანა: აბა შენ იცი, ძვირფასო.

ლოყაზე კოცნის. ჯერ ერთზე, მერე მეორეზე.

თინა: ნახვამდის.

მანანა: ნახვამდის.

მანანა ზინას დახედავს.

შემდეგ გასასვლელისკენ მიდის.

მანანა: ნახვამდის.

კაღის

თინა კართან დგება.

უყურებს, როგორ მიდის მანქანა.

ხელს უქნევს.

ზინა: *(ბაღიშიდან თავს არ სწევს)* ვის ემშვიდობები?

სიბნელე

8.

დიდი დრო გავიდა.

ზინა ფანჯარასთან დგას.

თინა ლობიოს არჩევს.

ზინა: თოვს.

თინა: მართლა?

ზინა: ჰო. ლამაზია. გაზი აანთე, ცოტა სიცივეს მოტეხავს.

თინა ქურასთან მიდის, ანთებს.

მაგიდასთან ბრუნდება, ისევ ლობიოს არჩევს.

ზინა: ასე თუ ითოვია, ხვალისთვის გზებს მთლიანად

დაფარავს. კაცი ვეღარ ამოვა ამ აღმართზე... და
ვეღარც ჩავა. მაგრამ, მაინც ლამაზია...
თინა: არ გინდათ მომესმაროთ.

ზინა გვერდზე უჯდება, გარჩევას იწყებს.

ზინა: ვინ იფიქრებდა, ზამთრამდე თუ გავიჭედებოდი
აქ. მალე თოვლი სახლსაც დაფარავს და ვეღარავინ
ვეღარ გვიპოვის. ყველას დაგავიწყდებით... თოვლის
გამო. თოვლი სიკვდილია.

პეუზა

ვინმეს აქედან წასვლა თუ უნდა, დღესვე უნდა წავიდეს...
თორემ გაზაფხულამდე არაფერი ეშველება.
თინა: ჯამი მომაწოდეთ.

ზინა აწვდის, თინა მარცვლებს ჯამში ყრის.

ზინა: საშინელი გასარჩევია. წესიერად ვერც ვხვდები,
რომელია კარგი და რომელი – ცუდი.

თინა: მთავარია, არ გაჩერდეთ.

ზინა: მეტი აღარ შემიძლია.

თინა: ცოტაც მოითმინეთ.

ზინა: თვალები მტკივა.

თინა: ეგ არაფერი. მალე დამთავრდება.

ზინა: შენ უკეთ გამოგდის, ძვირფასო, შენ გააგრძელებ.

თინა: მარტო ვერ მოვასწრებ.

ზინა: ყველაფერი მტკივა უკვე.

თინა: მთავარია, არ გაჩერდეთ.

ზინა: ვითომ, ერთი ქვებისთვის არ კმარა?

თინა: არა, მეტია საჭირო. ცოტა სწრაფად.

ზინა: მაპატიე, ვეღარ ვაგრძელებ... ვეღარაფერს ვეღარ
ვხედავ.

თინა: დაღამებამდე უნდა მოვასწროთ.

ზინა: ესედავე თუ გავარჩიეთ მთელი ტომარა, ხვალ რაღა
ვაკეთოთ?

თინა: ხვალ პენსიას ამოიტანენ. ხვალამდე უნდა მოვასწროთ. ხვალამდე ყველაფერი უნდა მოვასწროთ.

ზინა: რატომ?

თინა ძალიან სწრაფად არჩევს.

ზინა: მიპასუხე, რატომ?!

9.

დიდი დრო გავიდა.

თინა ლობიოს ხარშავს.

თინა: არ ვიცი.

ზინა: რა?

თინა: ხომ მკითხეთ, რატომ? მეც გაპასუხობთ – არ ვიცი.

ზინა: მაშინ სად არის? სად არის ეს ომი?

თინა: არ ვიცი.

ზინა: შეიძლება ომის დროს ასეთი სიმშვიდე იყოს?

თინა: ალბათ, არ შეიძლება.

ზინა: მგონი დიდი ხანია უკვე დამთავრდა. შეიძლება არც დაწყებულა.

თინა: შეიძლება, არ ვიცი.

ზინა: მაშინ სად არის ჩემი შვილი?

თინა: არ ვიცი.

ზინა: უკვე აღარ მჯერა, რომ დაბრუნდება. ვითომ უკვე მოკლეს?

თინა: ვინ იცის...

ზინა: ვინ იცის... მართალაც, ვინ იცის... მგონი, ასეც რომ იყოს, მაინც არ გვეტყოდნენ.

თინა: შეიძლება.

ზინა: ალბათ, არ ახმაურებენ...

თინა: ვერაფერს გეტყვით.

ზინა: სახალხო პანიკის ეშინიათ, ან რა ვიცი...

თინა: ეშინიათ, არ გამიკვირდება, რომ ეშინოდეთ.

ზინა: ნეტა დახოცილებს ნივთები სად მიაქვთ?

თინა: წვავენ.

ზინა: (ბრაზდება) რატომ? ხომ შეეძლოთ გამოეგზავნათ...
თუმცა, რომ გამოეგზავნათ, ალბათ, სახალხო პანიკა ატყდებოდა.

თინა: ჰო...

ზინა: გვამებს რას უშვრებიან? იმათაც წვავენ?

თინა: გვამებს ერთად მარხავენ.

ზინა: სად?

თინა: იქვე. დიდ ორმოს თხრიან და...

ზინა: მოიცა, ყველას ერთად?

თინა: თუ დიდი ორმოს ამოთხრას მოასწრებენ, მაშინ ყველას ერთად. თუ ვერა, ორ საშუალო ზომის ორმოს თხრიან და ანაწილებენ.

ზინა: და ვინ თხრის? ვინ მარხავს?

თინა: მესაფლავეების რაზმი. სპეციალური შტატი არსებობს...

ზინა: ნეტა რაიმე ნიშანს თუ უკეთებენ?

თინა: ვის, მესაფლავეებს?

ზინა: ჰო... ანუ, როგორ უნდა იცნო?

თინა: არა, ნიშანი არ უკეთიათ.

ზინა: და საფლავეებს? ალბათ, რაიმე წარწერას უკეთებენ...

თინა: გამორიცხულია.

ზინა: რატომ?

თინა: თავიდან აკეთებდნენ. დიდ ქვას დებდნენ და ციფრს აწერდნენ. მაგალითად 500. ეს ნიშნავდა, რომ საფლავეში 500 გვამია. მაგრამ, ახლა ასე აღარ იქცევიან.

ზინა: რატომ?

თინა: სახალხო პანიკის ეშინიათ.

ზინა: მოიცა, და შენ რა იცი ეს ყველაფერი?

თინა: მე არაფერი არ ვიცი. უბრალოდ ვიგონებ, დრო გამყავს... სხვა რა შემიძლია?

ზინა: მართალი ხარ, სხვა რა შეგიძლია, გამოშტერებულ. არა, არა... დარწმუნებული ვარ, რომ მოკლეს. იმიტომ, რომ არასდროს არავის არ უჯერებდა. ყოველთვის საძაგელი ბავშვი იყო. ყველაფერი ისე უნდა ყოფილიყო, როგორც თვითონ უნდოდა. არავის არ უსმენდა, საშინლად ჯიუტი იყო! საჭმელი რომ არ მოეწონებოდა, პირდაპირ მაგიდაზე აფურთხებდა. მაგიუებდა, ასე რომ იქცეოდა. თანატოლებს აწვალებდა, სათამაშოებს უმტვრევდა... ერთხელ ცხვირი გაუტეხა ერთ ბიჭს. ძალიან საყვარელი ბავშვი იყო... რა ერქვა... დმერთო... ჩვენი მეზობლის ბავშვი... ისე, რა მნიშვნელობა აქვს. მოკლედ, ქვა ესროლა და პირდაპირ ცხვირში მოარტყა... მერე მამამისი წავიდა და სულ გაგიჟდა. ერთხელ სამსახურიდან ვბრუნდები და ვხედავ, ეგ და მისი ძმაკაცები... მოკლედ, ქუჩის კატა დაიჭირეს და რაღაც საშინელებებს უშვებოდნენ, ამის გახსენებაც არ მინდა! მერე რაღაც იდეები აიკვიატა. ჯარისკაცობაზე ოცნებობდა... რაღაც სისულელეები... აქციებში მონაწილეობდა, რომლებსაც გამუდმებით არბევდნენ... არა, არა... ეხლა რომ ვუფიქრდები, მგონი არასდროს არ მყვარებია... ყოველთვის ოდნავ მეშინოდა მისი...

პაუზა.

ერთხელ, მაშინ ალბათ ცხრა-ათი წლის იქნებოდა, მოვიდა და ჩამეხუტა. მთელი დღე მეხუტებოდა. მერე გარეთ გაგარდა და პატარა მატლი მომიყვანა... ეს შენ, დედაო, მითხრა...

თინა: ეხლა გული ამერევა.

10.

დიდი დრო გავიდა.

ზინა უძრავად ზის.

თინა ჯამში ღობიოს ჩაასხამს. ზინას მიუტანს.

საყელოზე ხელსახოცს უკეთებს.

თინა: დანა!

იმ შემთხვევაშიც კი თუ ჯარისკაცი დავალებაზე კბილებამდე შეიარაღებული მიდის, მას თან 6 სხვადასხვა სახის, ზომისა და ფორმის დანა აქვს. უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში დანა გადააგდოს, მაგრამ ერთი დანა ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს.

აჭმევს.

აგრეთვე: პისტოლეტი „ტე-31“ – ე. წ. „ვერცხლის კლანჭი“ – 44-კალიბრის საკმაოდ ძლიერი იარაღი. ეფექტურად ხვრეტს ჯავშანს.

„ბე-42 ბერსერკერი“ – საკმაოდ სახიფათო იარაღი, განკუთვნილია ახლო დისტანციაზე სროლისთვის, თუმცა სრულიად უაზრო რამ 20 მეტრის სიშორეზე. პისტოლეტი „ტე-31“.

აჭმევს.

პისტოლეტი „რაპტორი-ა-32“.

აჭმევს.

პისტოლეტი „ემ-75“.

აჭმევს.

პისტოლეტი „ემ-202-ა-ზეტი“.

აჭმევს.

პისტოლეტი „ემ-343-დე“

აჭმევს.

პისტოლეტი „ბე-24“.

ზინას პირიდან საჭმელი გადმოსდის.

ჯარისკაცი მეტროს ნანგრევებში ჩადის. მარტოა. ყველა ეს იარაღი თან აქვს. ერთადერთი, რაც იცის, არის ის, რომ მეტროს ნანგრევებში დევნილები იმალებიან. მარტივი დავალება აქვს: დევნილები უნდა დახოცოს, დახოცოს და უკან, ბანაკში დაბრუნდეს. მეტი არაფერი. გზას თავზე დამაგრებული ფარანი უნათებს. იმავე დამეს, ვიდრე მორყეულ ესკალატორზე მისი ჩექმის ხმა ექოდ უბრუნდება, სახელმწიფო, სხვადასხვა მესამე სამყაროს ქვეყნებთან, ნარკოტიკებით ვაჭრობს. მაგრამ, ირაკლი კორძაიამ ამის შესახებ არაფერი იცის. ირაკლი კორძაიამ იცის, რომ დევნილები, მეტროში რომ იმალებიან, უნდა დახოცოს რაც შეიძლება სწრაფად და ცოცხალი დაბრუნდეს. სახეზე ჟანგბადის ნიღაბი უკეთია, ამიტომ საკუთარი სუნთქვის გარდა არაფერი ესმის. ჯარისკაცი ბოლო საფეხურზე დგას. ჩერდება და აი, ისიც, რისიც ეშინოდა – ათობით ზიზღით სავსე თვალი მას მისშტერებია... ქალები, ბავშვები, ახალგაზრდა კაცები, მოხუცები... ყველას ეზიზღება ირაკლი კორძაია! რატომ? პირადად ირაკლი კორძაიამ ამ ხალხს რა დაუშავა, ან ამ ხალხმა რა დაუშავა ირაკლი კორძაიას? არაფერი ხდება, უძრავი ხალხი, მათზე მიშვერილი იმდენი იარაღი, რამდენის დაჭერაც ერთ ადამიანს შეუძლია, ჯარისკაცის გაძლიერებული სუნთქვა და კაცი, რომელსაც ხელი ჯიბისკენ მიაქვს... ირაკლი კორძაია ისერის! ჩაბნელებული სადგური

მისი იარაღებიდან გამოფრენილი წითელი ტყვიებით ნათდება. შთამბეჭდავი სანახაობაა – როცა ერთ იარაღში ტყვიები უმთავრდება, მეორეთი ანაცვლებს. რა ენაღვლება, მის ქვეყანას ხომ ასეთი კარგი შეიარაღება აქვს. ყვირილები წყდება. ისევ სიჩუმეა, ისევ მხოლოდ მისი სუნთქვა ისმის. ირაკლი კორძია წინ მიიწევს. დახოცილებს აბიჯებს. ცოცხლებს ეძებს. და მაშინ, როცა უკვე დარწმუნდა, რომ დავალება წარმატებით შეასრულა, ყველა დახოცა და მზადაა ბანაკში დაბრუნდეს, გვირაბიდან გუგუნი ესმის. გუგუნი ნელ-ნელა უახლოვდება. ჯარისკაცი სიბნელეში მირბის, გუგუნი ძლიერდება, ფეხებში მკვდრები ებლანდება და როცა ძირს ეცემა, სადგურს მკვეთრი სინათლე ანათებს. ცარიელი მატარებელი, რომელიც ეუბნება: „ფრთხილად, კარები იხსნება!“

**ზინას პირი ღია რჩება.
ელოდება, რომ კოვზს ჩაუდებენ.
კარზე კაკუნია.
ქალები არ იძვრიან.**

სიბნელე.

11.

ზინა: კიდევ დათვალე.

თინას ხელში ფული უჭირავს.

თინა: შემძლია ათჯერ დათვალო, მაინც იგივე იქნება.

ზინა: რაღაც შეცდომაა...

თინა: ნამდვილად არაფერი მეშლება. ათჯერ, არა, ოცჯერ მეტია!

ზინა: უკან უნდა დავაბრუნოთ.

თინა: არა... რატომ?

ზინა: ეს ჩვენი ფული არაა.

თინა: რატომ გადაწყვიტეთ?

ზინა: ალბათ, გვარები, ან... ან კონვერტები აურიეს. შემთხვევით სხვისი თანხა ჩადეს... ჩვენი ფული სხვას გაუგზავნეს... ან რა ვიცი, რა ჯანდაბა მოხდა!

თინა: თუ შეცდომაა, თვითონ მოაგვარონ. ჩვენ არაფერს არ გავაკეთებთ. ამდენი ფული მთელი წელი გვეყოფა...

ზინა: არ შეიძლება სხვისი ფულის მითვისება. ციხეში აღმოვჩნდებით. მომეცი აქ.

თინა: იქნებ არც მოიკითხონ.

ზინა: მოიკითხავენ, თუ არა, ჩვენ მაინც უნდა გავარკვიოთ, რა ხდება...

თინა: მე თქვენს ადგილას ზედმეტ ყურადღებას არ მივიქცევდი. რაღაცას დაგვაბრალებენ...

ზინა: თუ არ დავაბრუნებთ, ქურდობას დაგვაბრალებენ.

თინა: ცოტა ხანი მოვიცადოთ.

ზინა: ამდენი ფული რაში გეჭირდება? რაში უნდა დავხარჯოთ?

თინა: რამეს მოვიფიქრებთ, ნუ დეღავთ.

ზინა: მომეცი აქ.

თინა: არა.

ზინა: რა?

თინა: მე მექნება, რაღაც სისულელე რომ არ ქნათ. ვინმე თუ მოაკითხავს, იცოდეთ, მე დაველაპარაკები.

ზინა: არ მომწონს ეს ამბავი...

თინა: თუ ბევრს ვიხმაურებთ, რაღაცას აგვეკიდებენ. მშვიდად უნდა ვიყოთ, ვითომც არაფერი არ მომხდარა.

ზინა: არაფერი არ მომხდარა? ოცი თვის პენსია ერთად მოგვცეს. მეორე მხრივ, იქნებ უბრალოდ პენსია გაიზარდა?

თინა: რატომ უნდა გაზრდილიყო?

ზინა: არ ვიცი... იქნებ დააწინაურეს... თუ დააწინაურეს, შეიძლება მეტი გადაგვიხადონ ხოლმე.

თინა: ასე ხდება?

ზინა: ერთი ჩემი ნაცნობი ძალიან კარგად ცხოვრობდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ქმარი გენერალი ჰყავდა... ეს დიდი ხნის წინ იყო მართალია, მაგრამ...

თინა: (ხაფიქრდა).

ზინა: რა?

თინა: არაფერი, უბრალოდ...

ზინა: რაზე ფიქრობ?

თინა: (ღუმბ).

ზინა: არ იტყვი?

თინა: იქნებ, ეს ბოლო პენსიაა?..

ზინა: რა?

თინა: იქნებ პენსია სულაც არაა... იქნებ რაღაც ჯილდოა... რა ქვია ამას... კომპენსაცია?

ზინა: არა, არამგონია...

თინა: თუ ბოლო პენსიაა და... არ დაბრუნდა... თუ არ დაბრუნდება და პენსიაც აღარ მოვა, მაშინ...

ზინა: (პაუზა) მომეცი ფული.

თინა: ...მაშინ სხვა ჯარისკაცი უნდა მოვძებნო. თანაც, სასწრაფოდ...

ზინა: მომეცი, სწრაფად.

თინა: არა.

ზინა: ყველაფერი კარგად იქნება. ეს ფული კიდევ დიდხანს გვეყოფა. ორივეს! ისე გადავანაწილებთ, რომ შეიძლება ორი წელიც კი ვიცხოვროთ... თანაც, არავინ იცის, რა ხდება!

თინა: უნდა მაპატიოთ...

ზინა: რას აპირებ?

თინა: აქედან უნდა წავიდე. მაპატიეთ. აქ ვერ გავეჩერდები.

თინა ტანსაცმელს ღლოინზე ყრის.

ზინა: რას აკეთებ? შენ რა გაგიჟდი?

თინა: მაპატიეთ, სხვანაირად არ შემიძლია.

ზინა: მტოვებ?

თინა: ასე ვეღარ ვიცხოვრებ.

ზინა: და სად წახვალ?

თინა: არ ვიცი...

ზინა: მე რა ვქნა?

თინა: საჭმელი საკმარისზე მეტი გაქვთ. დიდხანს გეყოფათ. მთელი თვე არაფერი დაგჭირდებათ.

ზინა: შენ ამას არ გააკეთებ.

თინა: უნდა გამიგოთ.

ზინა: დამიბრუნე ფული!

თინა: მაპატიეთ, ეს ფული მჭირდება... ძალიან მჭირდება.
უნდა გამიგოთ... უნდა მაპატიოთ...

ზინა: მოდი აქ, ერთი წუთით, დამელაპარაკე...

თინა: დადამებამდე უნდა მოვასწრო...

ზინა: ასე არ დამტოვებ!

თინა ტანსაცმელს ზეწარში შეფუთავს.

ზინა ზეწარს გახსნის, ტანსაცმელს ამოულაგებს.

თინა ისევ ჩააწყობს. ზეწარს შეკრავს.

ზინა ზეწარის გახსნას ცდილობს.

თინა ფუთას იღებს და გასასვლელისკენ მიდის.

ზინა ჩაეჭიდება.

ზინა: შემომხედე, გთხოვ...

თინა გასასვლელისკენ მიდის.

ზინა მოცილდება.

მაგიდიდან ჭიქას აიღებს, დალეწავს,

ნამსხვრევს აიღებს და ხელზე დაისვამს.

თინა მივარდება.

თინა: ბებერო იდიოტო!

ზინა: მტკივა, მართლა ძალიან მტკივა...

თინა: წავალ, ექიმს მოვიყვან...

ზინა: კარგი გოგო ხარ, ხო, მიდი, მიდი, გაიქეცი...

თინა კართან მირბის, ვალებას ცდილობს.

თინა: რა ხდება, სად არის?..

ზინა: გასაღები? *(ღრმად სუნთქავს)* ფანჯრიდან გადავაგდე...

თინა: არ მჯერა.

ზინა: მიყვარს სიფრთხილე.

თინა: სუ გააფრინე? რამე რომ დაგეჭირდეს...

ზინა: თვითონ უნდა ვუშველოთ თავს, სხვა გზა არ გვაქვს.

თინა: ვინმე რომ მოვიდეს?

ზინა: აღარავინ აღარ მოვა.

თინა: კურიერი? ხომ, შეიძლება კურიერი მოვიდეს?!

ზინა: მორჩა, ყველაფერი დამთავრდა.

თინა: მომეცი გასაღები, სწრაფად.

ზინა: არ მაქვს, ძვირფასო... ჩაკეტილები ვართ. ვერავინ ვეღარ შემოვა და ვერავინ ვერსადაც ვერ წავა...

თინა ძებნას იწყებს.

ზინა: ნუ გაგიჟდები! *(ჭრილობაზე ხელს მიიჭერს)* ჯობია მომეხმარო... ძალიან გთხოვ, ლოგინამდე მიმიყვანე, თავბრუ მეხვევა...

თინა: სადაა?! მიპასუხე, სადაა?!

ზინა: ეტყობა, ცუდად გესმის! გარკვევით ვთქვი, გასაღები არაა!

თინა ტანსაცმელში ჩაებლაუჭება, შეანჯღრევს.

ზინა: ხელი გამიშვი, მტკივა!

თინა: იქნებ თავიდანვე ასე უნდა დამეწყო... კედელზე მიმენარცხებინე, მაშინ სხვანაირად მომექცეოდი, ამდენს ვერ გაბედავდი...

ზინა: მადლობა თქვი, რომ საერთოდ შემოგიშვი, უმადურო გოგო. ამდენი ხანი იმიტომ არ გაგაპანდურე აქედან, რომ ჩემს შვილს უყვარხარ და მისგან ბავშვს ელოდები!

თინა: შენს შვილს არასოდეს არ ვყვარებივარ... და მისგან არასდროს ვყოფილვარ ფეხმძიმედ!

პაუზა.

თინა: ქვედა სოფლიდან ხალხს გადმოყევი იმ ღამეს...
ღაბომბვა რომ დაიწყო... ყველა კარზე ვაკაკუნე, სანამ
მანანამ არ გამიღო... თავისთან შემიშვა... ორი დღე
მასთან დავრჩი... ამასობაში შენმა შვილმა დაურეკა
და უთხრა, რომ ჯარში მიდის... მოუყვა, რომ მხოლოდ
ჯარისკაცის ოჯახებს ექნებოდათ ფული...

ზინა: გაჩუმდი!

თინა: მაშინ მანანამ წასვლა გადაწყვიტა და ვიღაცას
მოელაპარაკა... იმან უთხრა, რომ მხოლოდ ერთი
ადამიანის გაყვანას შეძლებდა... მაგრამ, ვერ
მიდიოდა... თქვენი აქ დატოვება არ უნდოდა... და
მაშინ მოიფიქრა ეს ტყუილი!

ზინა: არაფრის მოსმენა აღარ მინდა!

თინა: გადაწყვიტა, რომ თქვენი შვილის საცოლედ
გავესაღებინე...

ზინა: და შენც დათანხმდი, უსინდისო გოგო...

თინა: სხვა გზა არ მქონდა... ფეხმძიმედ ვიყავი.

ზინა: (*უყვირის*) ვისგან?!

თინა: თქვენი შვილისგან არა... აქ ყოფნისას
მომეშალა...

ზინა: ძალიან კარგი.

ზინა ლოვინისკენ მიდის.

ზინა: რაც უფრო ცოტა კაცს გააჩენ, მით ნაკლები
ნაბიჭვარი იქნება ამქვეყნად.

თინა: რატომ გადაწყვიტეთ, რომ ბიჭს გავაჩენდი?

ზინა: ომის დროს ყოველთვის ბიჭებს ვაჩენთ...
ხელისუფლება რომ ვანუგეშოთ...

თინა: მომეცით გასაღები.

ზინა: არ მაქვს... მე არ მომიტყუებიხარ...

ჯერ ლოვინზე ეცემა, შემდეგ იატაკზე გადმოგორდება.

სიბნელე.

12.

ღოლის ხმა ისმის.

ქალები ღლონში წვანან.

თინას სძინავს.

ზინა უეცრად წამოჯდება.

გასაღების გადატრიალების ხმა ისმის.

შემოდის კურიერი.

მხარზე პატარა წითელი ღოლი აქვს გადაკიდებული.

ზინა: *(ჩუმად)* შენა ხარ, პატარა ბიჭო. ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდი.

კურიერი: არაფერიც არ იცოდი.

ზინა: ვიცოდი. ყოველთვის ვიცოდი. მოდი ჩემთან.

კურიერი: ვერ მოვალ, ჩექმები სისხლით მაქვს მოთხვრიდი.

ზინა: უნდა გაგეფრთხილებინე... უკეთ დაგხვდებოდი.

კურიერი: რა მნიშვნელობა აქვს.

ზინა: შემპირდი, რომ აღარასდროს აღარ მიმატოვებ.

კურიერი: აღარასდროს აღარ მიგატოვებ. გაირდები. აქ დავრჩები.

ზინა: მხედავ?

კურიერი ტელევიზორს რთავს.

ტელევიზორის სინათლე ზინას ეცემა.

კურიერი: ახლა გხედავ.

ზინა: ძალიან დავბერდი.

კურიერი: ისევ ისეთი ხარ.

ზინა: ტყუი.

კურიერი: მართალია.

ზინა: აღარ მოგწონვარ?

კურიერი: არასდროს არ მომწონდი. *(კარიდან გახსლებს გამოადრობს)* ეს შენ გადააგდე?

ზინა: ჰო.

კურიერი: კარგია... მაგრამ, არ კმარა. რაც უფრო ჩაკეტავ, მით უფრო გაგეჭვება, ხომ ხვდები? ფული სადაა?

**ზინა თინას ჯიბეებს გაჩხრიკავს, ფულს იღებს.
კურიერს აწვდის.**

კურიერი: დასაწყისისთვის ესეც გამოდგება.

გაზქურასთან მიდის.

ზინა: რას აკეთებ?
ფულის დაწვას იწყებს.

კურიერი: ეს დიდხანს შეაჩერებს...

ზინა: მერე რა გავაკეთო?

კურიერი: ეს უკვე შენი გადასაწყვეტია.

ზინა: არ მინდა გოგონას ვატყინო, მაგრამ სხვა გამოსავალს არ მიტოვებს.

კურიერი: დიდი თავგასული ვინმეა, არა?

ზინა: ჯერ ძალიან ახალგაზრდაა.

კურიერი: მერე დასაჯე. აი, ისე შენს შვილს რომ სჯიდი, პატარა რომ იყო, ხომ გახსოვს? თუ ომია, ომი იყოს.

ზინა: ჩემი შვილისთვის ერთხელაც არ დამიკარებია ხელი.

კურიერი: ერთხელ ხელი ამოუგდე.

ზინა: ეს შემთხვევით მოხდა...

კურიერი: მეორედ სახეში ჩაარტყი მთელი ძალით, მაშინ ალბათ ხუთი-ექვსი წლის იქნებოდა.

ზინა: ეს მეთოდი ახლა არ გამოდგება.

კურიერი: არც მაშინ შეველოდა საქმეს. ყოველთვის ცუდი დედა იყავი. არასდროს არ გიყვარდი.

ზინა: რა?

კურიერი: ყოველთვის მეშინოდა შენი.

ზინა: სინათლეში დადექი.

კურიერი: ყოველთვის მხოლოდ საკუთარ ტრაკის გადარჩენაზე ზრუნავდი, (თინა ზე) როგორც ეს.

ზინა: ტყუილია.

კურიერი: მერე ვიღაც ჯარისკაცს შეახტი, ფეხებზე დამიკიდე.

ზინა: ჯარისკაცს შენი გულისთვის გაყევი, მხოლოდ იმიტომ, რომ ფული გეკონოდა.

კურიერი: მარტო დარჩენის გეშინოდა და ამიტომ გჭირდებოდი.

ზინა: მე შენ მიყვარდი.

კურიერი: შენ მე მიყენებდი... ქუნა-ქუნა დამათრევდი და მათხოვრობდი.

ზინა: ომი იყო, სულ ომი იყო. არასდროს არ დამთავრდა!

კურიერი: ქუნა-ქუნა დამათრევდი და მათხოვრობდი!

ზინა: სინათლეში დადექი-მეთქი, ვერ გხედავ.

კურიერი გაზქურას აქრობს.

კურიერი: ჯობია არ მნახო.

ზინა: მოდი აქ.

კურიერი: არა.

ზინა: მინდა დაგინახო, მოდი ჩემთან, ვერ გცნობ.

სინათლეში დგება.

კურიერი: ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ.

ზინა: შენ?

კურიერი: ჰო...

ზინა: შენ ჩემი შვილი არ ხარ.

კურიერი: არა.

ზინა: ვინ არის დედაშენი?

კურიერი: ქალი მახსოვს, სისხლის გუბეში ეგლო უგონოდ და ძაღლები ძუძუებს უჭამდნენ. ერთი წლის ვიყავი. ვიცოდი, რომ ეს ქალი დედაჩემია. მეტი არაფერი მახსოვს.

ზინა: (*ხმაძღლა*) ვინ არის დედაშენი?

თინა იღვიძებს.

კურიერს ვერ ხედავს, არც მისი ხმა ესმის.

თინა: რა?

კურიერი: ინფანტერიის გენერალი.

ზინა: ვინ არის დედაშენი?

კურიერი: გენერალ-ანშეფი.

თინა: რატომ შეკითხები?

ზინა: ვინ არის დედაშენი?

კურიერი: ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ.

ზინა: ვინ არის დედაშენი?

კურიერი: შტაბს-როტმისტრი.

თინა: კარგად ხარ?

ზინა: ვინ არის დედაშენი?

თინა: გესმის ჩემი?

კურიერი: საჰაერო ძალების ვიცე-პოლკოვნიკი.

ზინა: ვინ არის დედაშენი?

თინა: შემომხედე, თვალებში მიყურე!

კურიერი: შენ – არა.

თინა: მიპასუხე, გესმის?

ზინა: ვინ არის დედაშენი?

თინა: გაჩერდი, ეხლავე გაჩერდი!

კურიერი: შენ.

თინა: მე მიყურე!

ზინა: ვინ არის დედაშენი?

კურიერი: საზღვაო ფლოტის ვიცე-ადმირალი.

ზინა: ვინ არის დედაშენი?

კურიერი გადის.

კარს მოხურავს და გარედან ჩაკეტავს.

ზინა: მიპასუხე! ვინ არის დედაშენი?! მიპასუხე, გესმის?!

ვინ არის დედაშენი?! ვინ არის დედაშენი?!

თინა მაგიდასთან მიდის.

ქილას იღებს, რომელშიც კალია ზის.

კედელზე მიამსხვრევს.

ზინა მომენტალურად ჩუმდება.

13.

დიდი დრო გავიდა.

ქალები უძრავად სხედან.

ხანგრძლივი სიჩუმე.

ზინა: ჰო... ამხელა სიამოვნება ცხოვრებაში არაფრისგან არ მიმიღია. თითქოს, რაღაც უდიდეს ტვირთს ვიმორებდი. უცნაური ფერის ალი ჰქონდა... ძალიან ლამაზი... შეგიძლია ამის წარმოდგენა? არ მეგონა, ასე თუ მესიამოვნებოდა.

თინა: ყველა?

ზინა: ყველა. ერთი მეორის მიყოლებით. სათითაოდ. ყველა დავწვი. ერთიც არ დავტოვე...

თინა: ამხელა ფულის განადგურება სახელმწიფო დანაშაულია.

ზინა: არ მეგონა, ამხელა სიამოვნებას თუ მივიღებდი...

თინა: ამის გამო სრული უფლება აქვთ, ციხეში ამოგვალპონ.

ზინა: არ მაინტერესებს.

თინა: ნებისმიერ წამს შეიძლება მოგვადგენენ...

ზინა: მოგვადგებიან და ვერ შემოვლენ.

თინა: კარს შემოამტვრევენ.

ზინა: ვერ შემოამტვრევენ.

თინა: გასაღებს იპოვნიან.

ზინა: ნუ გეშინია, სრულიად უსაფრთხოდ ვართ. თუ ვინმე მოვა, ხმას არ ამოვიღებთ, ვითომ სახლში არ ვართ. შუქი უნდა გამოვრთოთ...

ზინა ნათურას შემოატრიალებს, ფანჯრებიდან მზის სხივები შემოდის.

თინა: რა სისულელეს აკეთებ?

ზინა: ადექი, ნუ ზიხარ ასე... ფანჯრებზე უნდა ჩამოვაფართო რამე, სინათლე რომ ვერ დაინახონ... თუ დაბომბვა დაიწყებს.

ლოგინიდან გადასაფარებელს იღებს და ფანჯარას ააფარებს.

ზინა: მოდი, მომეხმარე.

თინა ეხმარება.

ზინა: წყალი და საჭმელი მაქსიმალურად უნდა გამოვიზოგოთ. ჩემი აზრით, რაღაც ცხრილი უნდა შევადგინოთ, აღრიცხვა ვაწარმოოთ, ამას ჩემ თავზე ვიღებ.

ბნელდება.

წყალი და ლობიო... ზუსტად უნდა გადავანაწილოთ...
წყალი ამ ქილებში ჩავასხათ, შეგვიძლია ქილებს თარიღები დავაწეროთ...

თინა ნათურას მიატრიალებს, შუქი ინთება.

ჭურჭელი არ უნდა ვიხმაროთ, გარეცხვა რომ არ დაგვჭირდეს... შეგვიძლია ქვაბიდან ვჭამოთ...

თინა: საჭმელი ერთი თვეც არ გვეყოფა ორივეს...

ზინა: კალიები! სხვა გზა არა გვაქვს!

თინა: როგორ უნდა ვიბანაოთ?

ზინა: რა დროს ბანაობაა, სულელიო?! ომია გარეთ!

მანქანის მოახლოების ხმა ისმის.

ზინა: ჩუმად... ვიღაც მოდის...

კარზე კაკუნია.

თინა: მოვიდნენ!

ზინა: (*მუქარით*) ხმა... ჩუმად!

კარზე კაკუნია.

თინა: ვინ დაიჯერებს, რომ მე...

ზინა: ხმას თუ ამოიღებ, იცოდე ვიტყვი, რომ შენ
გააკეთე!

კარზე კაკუნია.

თინა: *(ტირილს იწყებს).*

ზინა: გაჩერდი, არ გაბედო!

თინა: რატომ უნდა ვიჯდე ასე...

ზინა: ხმა!

თინა: რა მნიშვნელობა აქვს...

ზინა: რას?

თინა: რა მნიშვნელობა აქვს, აქ ვიჯდები თუ ციხეში?!

კარზე კაკუნია.

ზინა: იცოდე, ხმას არ ამოიღებ!

თინა: მე არაფერი არ დამიშავებია...

ზინა: გაჩუმდი.

თინა: მე არაფერი არ დამიშავებია!

კარზე კაკუნია.

ზინა: ენას ამოგაგლეჯ, თუ არ გაჩუმდები!

თინა: რატომ უნდა დაგიჯეროთ...? რატომ უნდა
გაჩერდე?

კაკუნი ძლიერდება.

თინა: *(ფეხზე დგება, არ იცის, რა ქნას).*

ზინა: რას აკეთებ?

თინა: არაფერი არ მითხრა... ნუ მელაპარაკები!

ზინა: გაგიჟდი?

თინა: მიშველე!

კაკუნი ძლიერდება.

ზინა: (ჩუმად) გაჩ უმდი...

თინა: მიშველეთ!

კარზე აბრახუნებენ.

თინა: აქ ვართ!

კაკუნი წყდება.

პაუზა.

ზინა: ჩუმად!

თინა: რა ხდება?

სიჩუმე.

თინა: წავიდნენ?..

ზინა: მგონი გადავრჩით... მომისმინე, პანიკის დრო არაა. მობილიზებულები უნდა ვიყოთ, თუ ბომბები დაგვიშინეს...

თინა: რა?

ზინა: ჰო... თუ საჭაერო იერიში...

თინა: ვერაფერი ვერ გავიგე...

ზინა: თუ დაგვბომბეს, მაგიდის ქვეშ უნდა შევფვრეთ...

თინა: რატომ...

ზინა: ჭერი თუ ჩამოინგრა, ზედ რომ არ დაგვეცეს...

თინა: რატომ უნდა დაგვბომბონ?

ზინა: რა თქვი? მე მგონი ვერ ხვდები, რა ხდება...

თინა: არაფერი არ ხდება.

ზინა: ღმერთო, მიეცი ამ გოგოს თითისტოლა შეგნება!

თინა: გაგიჟდი, ომს აქ რა უნდა?

ზინა: აქეთ მოდიან, შტერო!

თინა: საიდან მოიტანე, ბოდავ რაღაცას!

ზინა: ომმა მსოფლიო მასშტაბი მიიღო, როგორ ვერ ხვდები! ყველა ომობს! ყველა ქვეყანა! ყველა ერთმანეთს ებრძვის!

თინა: ჩვენ ვის ვებრძვით?

ზინა: ჩვენ არავის არ ვებრძვით, არასოდეს არ ვებრძოდით... ჩვენ გვებრძვიან!

თინა: ვინ?!

ზინა: ვინ... ვინ არ ვიცი... არ ვიცი, მაგრამ გავიგებთ, აუცილებლად გავიგებთ!

თინა: გვეტყვიან?

ზინა: არა, არ გვეტყვიან...

თინა: აბა, ტყვედ რომ ჩაგვარდებით, მაშინ გავიგებთ?

ზინა: რამდენს ლაპარაკობ?!

თინა: რაღაც სისულელეა...

ზინა: ახლა მისმინე, ძალიანაც რომ დაგეჭირდეს რამე, გარეთ არ უნდა გავიდეთ! არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიდეთ! არავინ არ უნდა დაგვინახოს... ისე უნდა მოვიქცეთ, თითქოს სადმე წავედით... არავინ არ უნდა იცოდეს, რომ აქ ვართ! გასაგებია?

თინა: გასაგებია. გადი თუ შეგიძლია...

ზინა: კიდევ ერთხელ თუ წამოიკნაველებ, იცოდე, თავს გაგიჩქვავ, გასაგებია?

თინა: კი, გასაგებია.

ზინა: ჰოდა, ძალიან კარგი. ხუმრობის დრო აღარაა. ყველაფერმა სერიოზული სახე მიიღო... ომი მოგვადგა, კარზე მოგვიკაკუნა!

კარზე კაკუნია.

ზინა წამოიკივლებს.

ზინა: დაბრუნდნენ...

თინა: რა ვქნათ?

ზინა: არ ვიცი...

თინა: იქნებ გავიხედო, გავიგო ვინაა?

ზინა: არა, არავითარ შემთხვევაში! შენ აქ დაჯექი... მე გავიხედავ!

ფანჯარასთან მიდის, ოდნავ გადასწევს გადასაფარებელს, სწრაფად მოცილდება.

კარზე აკაკუნებენ.

ზინა: მგონი დამინახა!

თინა: ვინ არის?

ზინა: არ ვიცი... სახე ვერ დავინახე!

თინა: როგორია?

ზინა: სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია...

თინა: კაცია?

ზინა: ჰო, კაცია.

თინა: რა უნდა აქ სამოქალაქო ტანსაცმლიანს...

ზინა: წარმოდგენა არ მაქვს...

თინა: თუ სამოქალაქო აცვია, ესე იგი ფულთან კავშირი არა აქვს...

ზინა: ჰო, ალბათ...

პაუზა.

ზინა: ის არის?

ზინა: ვინ - ის?

გაჩუმდია.

ქალები ერთმანეთს უყურებენ.

ზინა: თუ სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია... და კაცია...

თინა: გამორიცხულია...

ზინა: დაბრუნდა... ის არის... დარწმუნებული ვარ, რომ ის არის.

თინა: რახან სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია და კაცია, ეს ჯერ არ ნიშნავს, რომ ირაკლია.

ზინა: არა, არა... ახლა არ უნდა მოსულიყო... ახლა მზად არ ვარ! (*თავზე ხელებს იჭერს*) თავი მისკდება... გამაყურებელი მჭირდება...

აკაკუნნი.

ზინა: ახლავე! (*კარისკენ მიდის*).

თინა: მოიცადეთ... იქნებ...

ზინა: (*სწრაფად მოტრიალდება*). რა?!

თინა: იქნებ არ ვიჩქაროთ...

ზინა: დაველაპარაკო?

თინა: არ ვიცი... სულ ერთია, გააკეთეთ რამე!

ზინა კარისკენ მიდის. მიაყურადებს.

ერთხანს გაუნძრევლად დგას.

მთელი ტანით კარს ეკვრის.

სახელურს ეჭიდება.

შემდეგ, მოცილდება.

ზინა: არ ვიცი, რა უნდა ვუთხრა...

თინა: გინდათ, მე მივალ... ვნახავ?

ზინა: უცებ არ იცნო! არა, არა... შენ არა... შენ მანდ იჯექი.

ლაპარაკი უჭირს. საჭირო სიტყვებს ეძებს.

ზინა: უკაცრავად... მე... მე, სამწუხაროდ... კარს ვერ გაგიღებთ... სამწუხაროდ... (*თვალებზე ხელებს იფარებს*) ვერ შემოგიშვებ, იმიტომ რომ... საქმე ისაა, რომ... გასაღები არ მაქვს, ჩემო ძვირფასო... იქნებ მონახო... სადღაც მანდ უნდა ეგდოს...

ტირის.

კარში გასაღების შერჭობის ხმა ისმის.

ზინა კარს მოცილდება.

ზინა: (*თინას*) გასაღები აქვს...

თინა: რა?

ზინა: გასაღები შეარჭო.

თინასთან მიდის.

გასაღების გადატრიალების ხმა ისმის.
ქალები უძრავად დგანან.
კიდევ ერთხელ ატრიალებენ გასაღებს.
არაფერი ხდება.

თინა: ვინ არის?!

*კარი იღება.
შემოდის კურიერი.*

სამოქალაქო ტანისამოსი აცვია.
ტანსაცმლიდან თოვლს იბერტყავს.

კურიერი: რა ხდება, რატომ არ ალებდით?

ზინა: საიდან გაქვთ გასაღები?

კურიერი: ჩვენ ყველა სახლის გასაღები გვაქვს.
(*ჩაბნელებულ ფანჯრებს შეაძინევს*) ეს რა არის?

თინა: უსაფრთხოების მიზნით...

კურიერი: (*იღიშის*) რომელმა მოიფიქრა?

თინა: ამან.

ზინა: ეს რა, დანაშაულია?

კურიერი: არა, რა თქმა უნდა.

ზინა: ამ საქმეში დიდი გამოცდილება მაქვს.

კურიერი: რომელ საქმეში?

ზინა: თავდაცვის საქმეში...

კურიერი: რატომ არ ალებდით? რამეს მაღავთ?

თინა: გასაღები დაგკარგეთ. პატარა გაუგებრობა მოხდა...

ზინა: ასე რატომ გაცვიათ?

კურიერი: წესით არ უნდა მოვსულიყავი...

ზინა: ჰო, ვიცით.

კურიერი: სასწრაფოდ გამომიძახეს.

თინა: რამეს ხომ არ მიირთმევ?

ზინა: თინა...

კურიერი: დიდი სიამოვნებით.

ზინა: ჰო, რა თქმა უნდა, მაგიდასთან დავსხდეთ. ბევრი არაფერი გვაქვს, მაგრამ... თინა, ძვირფასო...

თინა: (არ იძვრის) რატომ მოხვედი?

კურიერი: ფულზე მოვედი.

ზინა: რომელ ფულზე?

კურიერი: თქვენს პენსიაზე.

ზინა: და?

კურიერი: შეიძლება ვნახო?

ზინა: რა?

კურიერი: ფული... შეიძლება ვნახო?

თინა: კი, რატომაც არა...

ზინა: რაში გჭირდებათ ჩვენი ფული?

კურიერი: ნუ გეშინიათ, არ შეგიჭამთ.

ზინა: არასდროს არ ხარ დაზღვეული...

კურიერი: თქვენს ფულს არაფერი არ დაემართება, უბრალოდ მანახეთ.

ზინა: არა მგონია კარგი აზრი იყოს.

კურიერი: გიბრძანებთ.

ზინა: საქმე ის გახლავთ, რომ... თინა, ძვირფასო, შენ აუხსენი.

თინა: მე რატომ უნდა ავუხსნა?

ზინა: როგორ, ჩემო კარგო, შენ არ იყავი საყიდლებზე?

თინა: ეგ როდის?

ზინა: დილას...

თინა: საყიდლებზე როგორ წავიდოდი, კარს ვერ ვაღებთ?

ზინა: რა ჭკვიანი გოგო ხარ...

კურიერი: რა ხდება?

ზინა: არაფერი, ახლავე ყველაფერს გავარკვევთ. (თინას)
თინა, სად არის ჩემი ფული?

თინა: (ჩუმად).

ზინა: გიმეორებ, სად არის ჩემი ფული?

თინა: თქვენი ფული მე არ მაქვს...

ზინა: როგორ, შენ არ იყავი გუშინ, ხელიდან რომ გამომტაცე?

თინა: (დუმბ).

ზინა: ბარგი რომ ჩაალაგე და აქედან გაქცევას აპირებდი...
ფულთან ერთად! შენ არ იყავი?

თინა: დიახ, მაგრამ...

ზინა: შენ არ იყავი, ძირს რომ დამაგდე...

თინა: ეგ ფული თქვენ გქონდათ და გუშინ ღამე სათითაოდ დაწვით!

კურიერი: როგორ?

ზინა: აი, უსმინეთ, უსმინეთ, რას ლაპარაკობს! ნამდვილად შეიშალა! ჩემო კარგო, გააკეთეთ რამე!

კურიერი: სად არის ფული?!

ზინა: ხელიდან გამომგლიჯა და გაქცევა დააპირა... ხანდახან საშინლად აგრესიული ხდება... როცა წინააღმდეგობა გავუწიე... აი, შეხედეთ! (*სახელოს იწვევს, ჭრილობას აჩვენებს*) შეხედეთ რა გამიკეთა...

კურიერი: (*თინას*) ეს ვინ უქნა?

თინა: თვითონ გადაიჭრა!

ზინა: არ დაუჯეროთ, არ დაუჯეროთ, როგორ ფიქრობთ, ასეთ რამეს საკუთარ თავს გავუკეთებდი?!

თინა: გასაღები ფანჯრიდან გადააგდო, რომ არ წავსულიყავი!

ზინა: ეს კი, ეს სიმართლეა... აბა, სხვანაირად როგორ შევაჩერებდი, მთელი ფული მიჰქონდა!

კურიერი: ფული დაწვით?

ზინა: უნდა გავუგოთ... ბავშვი ცუდადაა...

კურიერი: ამის გამო ორივე დაისჯებით, თანაც ძალიან მკაცრად.

ზინა: (*ოცინის*). ნუთუ, ასეთი უმნიშვნელო თანხის გამო...

კურიერი: უმნიშვნელო თანხის? ოცი თვის პენსია გადმოგეცით, რასაც თქვენი ხელმოწერა ადასტურებს.

ზინა: მერე ეს რატომ გააკეთეთ?!

თინა: საიდან გაიგეთ?

კურიერი: თქვენი საუბრის ჩანაწერი გვაქვს.

ზინა: რა?

კურიერი: თქვენი ყოველი სიტყვა ისმინება. რამდენჯერაც ტელევიზორს რთავთ, იმდენჯერ თქვენს სახლში გვიშვებთ.

პაუზა.

თინა: და ახლა რას გვიზამენ?

კურიერი: ჯერ სასამართლო და მერე ვნახოთ... იმდენ წელს მოვისჯიან, ბებერო, ცოცხალი ვერ გამოხვალ, შენ კიდევ ამაზე ბებერს გამოგიშვებენ...

ზინა: ოჰო! ამ ფრაზას მთელი გზა აღაგებდა, ალბათ! *(ოცინის)* თინა, ხედავ, რა მაგრები ვართ?! მაგრამ, ჩვენ მეტად შემამსუბუქებელი გარემოება გვაქვს, შვილო.

კურიერი: არა მგონია.

ზინა: გოგონა ორსულადაა...

კურიერი: *(თინას)*. მართლა?

ზინა: ბებია ვხდები.

თინა: გეყოფა!

ზინა: ამაზე მთელი ცხოვრება ვოცნებობდი... რამხელა ბედნიერებაა, წარმოგიდგენიათ?

თინა: საკმარისია.

კურიერი: *(დგება)*.

ზინა: სად მიდიხართ?

კურიერი: მანქანაში მელოდებიან, უნდა დაუძახხო.

ზინა: ელოდებიან, თინა, გესმის..? ელოდებიან?!

თინა ფანჯრიდან იხედება.

თინა: მართლაც... მანქანაში ოთხი ნიღბიანი ზის...

ზინა: ოთხი?! *(ოცინის)* რა კარგია, ოთხი ნიღბიანი ერთი ბებრის წასაყვანად.

კურიერი: დაუძახებ და ისინი... ისინი გაგაცილებენ. ჩვენი მანქანით წამოხვალთ.

ზინა: ა-არა! ასე ადვილად ვერ გაგიშვებთ!

მაგიდისკენ მიჰყავს.

ზინა: თინა, მიხედე სტუმარს, ასე არ შეიძლება!

კურიერი: *(დაბნეულად)* ეტყობა, მთლად კარგად ვერ გაიგეთ... წინააღმდეგობის გაწევას არ გირჩევთ... მანქანაში ოთხი შეიარაღებული...

ზინა: მერე და ვინ გიწევთ წინააღმდეგობას. ერთი წუთით ჩამოჯექით, წამლებს წამოვიღებ...

კურიერი ჯდება.

ზინა უჯრას გამოადებს.

ზინა: სადღაც აქ უნდა იყოს...

კურიერი: ცუდად ხართ?

ზინა: ნუ ღელავ, არაფერია... არაფერია, ჩემო კარგო, უბრალოდ ოდნავ ავნერვიუვდი... (ოცინი) სულ ესაა... სად ჯანდაბაშია?! თინა, ძვირფასო, წყალი მიუტანე სტუმარს...

თინა: ტელევიზორს ჩაეურთავ.

ტელევიზორთან მიდის, ჩართავს.

იხვი დონალდი.

თინა და კურიერი ერთმანეთს მიაშტერდებიან.

ზინა უჯრასი იქექება.

ზინა: ღმერთო ჩემო, სად ჯანდაბაში წავიდა... ხომ იცით, როგორცაა, როცა გჭირდება... ვერსად ვერ იპოვი... როცა არ გჭირდება, სულ... როცა არ გჭირდება... ხელებში გებლანდება სულ... ერთი სული გაქვს... როდის... როდის გადააგდებ... აჰ, აი, ისიც, ჩემო კარგო... აი, ისიც...

პურის საჭრელი დანა ამოაქვს.

თინა და კურიერი ერთმანეთს უყურებენ.

თინა ხმას მაქსიმალურად აუწევს.

აი, ასე... ახლა ამას დავლევ და ყველაფერი კარგად იქნება. აღარაფრის აღარ შემეშინდება...

დანას ზურგში არჭობს.

კურიერი სკამიდან გადმოვარდება.

ზინას ჩაეჭიდება.

ზინა: თინააა!!!

კურიერი პისტოლეტს ამოიღებს.

თინა მივარდება, ზურგიდან დანას ამოაცლის და ხელში ჩაარჭობს.

კურიერს პისტოლეტი ხელიდან გაუვარდება.
პისტოლეტისკენ მიღლავს.
თინა დანას ზურგში ჩაარტობს, ამოაცლის, ყელს
გამოჭრის, გადმოატრიალებს, გულში ჩაარტობს,
შემდეგ მუცელში, შემდეგ ისევ გულში, ცდილობს,
სკალპი ახადოს...

ზინა: მგონი საკმარისია...

თინა ჩერდება.

ქოშინებს.

ზინა კურიერს ჯიბეებს უჩხრეკს, გასაღები ამოაქვს.

კართან მიდის. ჩაკეტავს.

ზინა: როგორც იქნა, ეს ყველაფერი ნამდვილ ომს
ემსგავსება.

თინა: ამის ხორცი რამდენიმე თვე გვეყოფა.

ზინა: რა? თინა... (*ოცინის*) თინა, შენ ხომ არ გაგიჟდი?!

თინა: უნდა დაგჭრათ და მაცივარში შევინახოთ.

ზინა: (*ოცინის*) ძვირფასო...

თინა: თუ შემოვლენ, ვერ უნდა იცნონ. ისე დაგჭრით,
ვერ მიხვდებიან, რომ ადამიანის ხორცია.

ზინა: რას ბოდავ..?

თინა: ან ძალიან სწრაფად უნდა შევჭამოთ.

ზინა: თინა...

თინა: მომეხმარეთ!

ზინა: (*ყვირის*) თინა!

თინა: უნდა შევჭამოთ!

კურიერს ფეხსაცმელებს და შარვალს ხდის.

ზინა: გაჩერდი! ყველაფერი კარგადაა, გესმის?!
შემომხედე, ყველაფერი კარგადაა! სხვა გზა არ
გვექონდა, სხვანაირად არ უნდა მოვქცეულიყავით!

თინა: (*დაფეთქულია*). მომეხმარე!

ზინა: რა?

თინა: უნდა მომეხმარო... (*დანას უშვერს*)

ზინა: რას აკეთებ?

თინა: გთხოვ... გთხოვ მომეხმარე... ცოტა დრო გვაქვს...

კურიერს უაზროდ მიათრევს.

ზინა: თინა... გაჩერდი!

თინა: გთხოვ, სადაცაა, ისევ მოგვაკითხავენ!

ზინა: მომეცი დანა!

თინა: უბრალოდ მომეხმარე... არ შეგიძლია უბრალოდ მომეხმარო?

ზინა: ძალიან ბევრნი არიან. ამჯერად კიდევ უფრო მეტნი იქნებიან. აზრი არა აქვს, თინა, აზრი არა აქვს, გესმის?!

კურიერს მხარზე მოიგდებს, მაგიდაზე აწვევს.

ჯდება.

უყურებს.

თინა: რომელი ნაწილი გინდათ?

კურიერს დანას დაუსვამს.

ზინა: მომისმინე, ყველაფერი კარგად იქნება, უბრალოდ უნდა დამიჯერო! მომეცი დანა.

თინა: არა.

კურიერს დანას დაუსვამს.

ზინა: გაჩერდი! უნდა დაგნებდეთ! არის დრო, როცა ჯობია დანებდე!

თინა: კარგი, ოღონდ არ დამტოვოთ. რაც გინდათ ის ქენით, ოღონდ არ დამტოვოთ.

ლოგინში წვეება.

ზინა: ნუ გეშინია. აქ ვარ, შენთან ერთად ვარ. სულ აქ ვიქნები... სულ შენთან ვიქნები...

**თინა გულაღმა წევს.
თვალებს ხუჭავს.
ზინა დანას ართმევს.**

თინა: *(კანკალებს)* რა კარგი ხმა გაქვთ... იცით, თქვენი
ხმა ძალიან მომწონს...

ზინა საბანს აფარებს.

პაუზა

ზინა: *(ძლიან ჩუმად)* მარტო მე და შენ დავრჩით... მე,
შენ და მეტი არავინ... მეტი არავინ...

ზინა გაზქურასთან დგას.

თინა: *(თითქმის სძინავს)* ილაპარაკეთ... ილაპარაკეთ...
თქვენი ხმა მამშვიდებს...

ზინა გაზს უშვებს.

ზინა: *(ჩუმად, ღიმილით)* მე ცხენი ვარ, ჯარისკაცებს
რომ აჩენს, ყველა დასასრულის დასაწყისი ვარ... და
ყველა ომი მე ვარ... ყველა დახოცილი ჯარისკაცი
ვარ და მათი დედაც მე ვარ...

სინათლეს აქრობს.

ოთახს მხოლოდ ტელევიზორი ანათებს.

თინას გვერდზე უწევბა.

ესუტება.

ზინა: *(თითქმის ჩურჩულით, ნაზად)*
ფოლკლენდის ომი ვარ,
ისრაელის ლიბანში შეჭრა ვარ,
სუდანის სამოქალაქო ომი ვარ,
ავღანეთის სამოქალაქო ომი ვარ,
სამხრეთ ოსეთის ომი ვარ,

რუანდას სამოქალაქო ომი ვარ,
ყარაბახი...

**ტელევიზორში გამოსახულება ფუჭდება.
ერთხანს ხარვეზია, შემდეგ კურიერი გამოჩნდება.**

ზინა: (აქედან კურიერთან ერთად).
ავღანეთის სამოქალაქო ომის გაგრძელება ვარ,
პანამა,
კონფლიქტი ვარ ინგუშეთსა და ოსეთს შორის,
ბოსნიის ომი ვარ,
პირველი ომი ვარ ჩეჩნეთში,
მე ვარ ნატო იუგოსლავიის წინააღმდეგ,
მეორე ომი ვარ ჩეჩნეთში,
მეორე სამოქალაქო ომი ალჟირში,
სამოქალაქო ომი რუანდაში,
მაოისტების ჯანყი ნეპალში,
რუანდა და უგანდა ზიმბაბვეს წინააღმდეგ,
ანგოლა და ნამიბია...
კოსოვო...

კურიერი: მათს „კულტურული რევოლუცია“

– თერთმეტი მილიონი
ეთიოპიის სამოქალაქო ომი – ერთი მილიონი
ლიბანის სამოქალაქო ომი – ორმოცი ათასი
ანგოლას სამოქალაქო ომი – ხუთასი ათასი
მოზამბიკის სამოქალაქო ომი – ოცი ათასი
ომი ჩინეთსა და ვიეტნამს შორის –

ოცდაათი ათასი
ავღანეთის ომი – ერთი მილიონი (*ხარვეზი*)
ავღანეთის სამოქალაქო ომი – ოთხასი ათასი
ომი ირანსა და ერაყს შორის – ერთი მილიონი
სალვადორის სამოქალაქო ომი –

სამოცდაათხუთმეტი ათასი
უგანდას პირველი სამოქალაქო ომი –

ოცდაათი ათასი
ნიკარაგუას სამოქალაქო ომი – სამოცი ათასი
თბილისის სამოქალაქო ომი... (*ხარვეზი*)

სამოქალაქო ომი შრი-ლანკაში –
სამოცდაათი ათასი

სომალის სამოქალაქო ომი –
ხუთას ორმოცდათხუთმეტი ათასი
ქართულ-აფხაზური კონფლიქტი... (ხარვეზი)
ომი ტაჯიკეთში – ორმოცდაათი ათასი
სამოქალაქო ომი კონგოში – რვაასი ათასი
ქართულ-ოსური კონფლიქტი... (ხარვეზი)
რუსეთი ჩეჩნეთის წინააღმდეგ – ორასი ათასი
სომხეთი აზერბაიჯანის წინააღმდეგ –
ოცდათხუთმეტი ათასი
იუგოსლავიის ომები – ორას სამოცი ათასი...

ხარვეზი.

ძვირფასო დედა, (*ხარვეზი*).

შენ არ ამბობდი, აღამიანები თუ კარგად გაიცნობენ ერთმანეთს, ომი აღარ იქნებაო? ჰოდა, მინდა გითხრა, ძალიან ცდებოდი. შენი სიტყვები ავიაკომპანიის სლოგანს ჰგავდა: „საერთაშორისო რეისები მშვიდობის საქმეს ემსახურება“... პირდაპირ სასაცილოა, რადგან განა სამოქალაქო ომი არ გამოირჩევა განსაკუთრებული სისასტიკით, ან განა სიძ უღვილი ოჯახის წევრებს შორის ნაკლებია იმის გამო, რომ ისინი გადასარევედ იცნობენ ერთმანეთს..? (*ხარვეზი, არ ისმის, რას ლაპარაკობს*). ...ახლა ვხვდები, რომ ომი უდიდესი პატივია ქვეყნისთვის, რადგან ისე არაფერი არ აერთებს ხალხს, ისე არაფერი ამეგობრებს, როგორც საერთო უბედურება. ...დაუშთავრებელი ომი, გაყინული კონფლიქტი, ყოველ ნაბიჯზე გარანტირებული თავდასხმა და გაუთავებლად ომის მდგომარეობაში ყოფნა ხალხის გაერთიანების გარანტია... (*ხარვეზი*) ვატყობ, კიდევ დიდხანს მომიწევს აქ დარჩენა... (*ხარვეზი, არ ისმის, რას ლაპარაკობს*).

ხარვეზი. არეული გამოსახულება. ისმის ცალკეული სიტყვები.

მუდამ შენი...

ტელევიზორში იხვი დონალდის სერიას აჩვენებენ.